

მწყმესი



მე ვარ მწყმესი კეთილი: მწყმესმან კეთილმან სული თვისი დასდღვის ცხოვართათვის. იოან. 10 — 11.
შავე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარული ცთა შინა, ერთისათვის ცოდვისისა. ლუკ. 15—4.
მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მიძიენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 6—7

1883—1904

30 მარტი—15 აპრილი

შინაარსი:

სალიტერატურო განყოფილება: ქრისტე დამთრეგნული სიკვდილისა, მღ. მიხ. ჩიქვინიძისა. — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების 25 წლის იუბილეი — საზოგადოებრივი მკვლევარობა, (გუგუჯრეთიდან—მღვ. ბენ. გაბიჩიძის. — ქუთაისის შესანიშნავი ბავარტის ტაძრის გეგმა. — ქუთაისის კათედრის ტაძრის მხატვრობითი განაშენება და განახლება. — საგულისხმოდ. ვიეთთავე პირთა (ლუკსი) რუსტომ გუქასი. — ჟურნალ-გაზეთთაგან. — ახალი ამბები და შინაშეი.

სწავლა და მცოდნეობა ქრისტიანობაში სარწმუნოებასა და კეთილ-ჯანმრთელობაში: საუბარი დაბადებულად. ს. გორგაძის. — ცხოვრება წმიდათა შორის მამისა ჩვენისა ნიკოლოზ საკვირველთ მოქმედისა, მღ. ბ. კაპანაძის. — მართლმადიდებლობით — ქრისტიანობის საეკლესიო საზოგადოებრივითის ღვთის მსახურების განმარტება, კაპანაძისა. — რედაქციის პასუხი. — განცხადებანი



ქრისტიანობის ცხოვრებაში არის ისეთი წამები, როცა იგი ამ ქვეყნიდან, დროებიდან თითქო განშორებული გრძნობს რაღაცა ზეციურ სამოთხის

დღესასწაული დღესასწაუთა.

ქრისტიანის ცხოვრებაში არის ისეთი წამები, როცა იგი ამ ქვეყნიდან, დროებიდან თითქო განშორებული გრძნობს რაღაცა ზეციურ სამოთხის



სიხარულს. ვის არ უგრძნია ის ერთი გამოუთქმე-
ლი საღმრთო სიხარული, რომლითაც აღვისლია
ყოველი ქრისტიანის სული ბრწყინვალე ქრისტეს
აღდგომის დღეს, როცა ყოველივე შეიმოსება ნათ-
ლით—ცანი დღესასწაულობენ, ქვეყანა მზიარულტებს
და მთელი ქვეყანა დღესასწაულობს ქრისტეს მაცხო-
ვრის დიდებულ გამარჯვებას სიკვდილზე, ჯოჯოხე-
თზე და ყოველთა დაფარულთა ძალთაზედა. მხოლოდ
წმიდა მართლმადიდებელ ეკლესიას, რომელიც
აღვრთოვანებულია ღვთის სულით თავის საღმრთო
საგალობლებს ღირსეულად გამოხატავს, რამდენა-
თაც ეს შეიძლება კაცობრიულის ერთი, დღესა-
სწაულობის დიდებულებას, რომელსაც უგალობენ
ზეცათაშინა უთვალავი გუნდი ანგელოსთა. შედით
სულ დარბს სოფლის ეკლესიაში ამ წმიდა დღესა-
სწაულობის დამეს და თქვენ ევეჯგან გაიგონებთ ერთსა
და იმავე საგალობელს ქრისტეს აღდგომაზე. მოის-
მინეთ ვასაოცარი პასექის საგალობელთა კანონები,
—ყოველს სიტყვებში ერთი და იგივე აზრია: ქრისტე
აღსდგა! ზეშთავრებული მგალობელი, წმიდა იოან-
ნე დამასკელი ამ კანონებში, სძლის პირებში, ასე
ესთქვით, გონებით შემოუვლის მთელს ქვეყანას, და
თვით უფსკრულსაც, ნახავს ყოველივეს, ყველგან
და მოუწოდებს სადღესასწაულოდ და სასიხარულოდ.

საქიროდ მიგვანჩია დღეს, იმ დროს როცა
საერო ჟურნალ-გაზეთები ქრისტეს აღდგომის ბრ-
წყინვალე დღესასწაულზე მოუთხრობენ თავიანთ
მკითხველებს სზირად შეუფერებელ, შემცდარს და
უმსგავსო მოთხრობათა, პირდაპირ მოვიყვანოთ ის
ვასაოცარი კანონები და სძლის პირები, რომელთაც
ქეშმარიტნი ქრისტიანენი უგალობენ ბრწყინვალე
ქრისტეს აღდგომას. ყოველივე სიტუვა ამ საგალობ-
ელთა შემოღებისა და გავარად უნდა იყოს შეტყო-
ბილი და ღრმით ნაგრძნობი თვითიულ მართლ-
მადიდებელ ქრისტიანეთაგან... თი ეს საგალობლენი:

„აღდგომასა შენსა ძრისტე მაცხოვარ, ანგე-
ლოსნი უგალობენ ცათა შინა და ჩვენცა ქვეყანასა
ზედა ღირს-მყვენ, წმიდით გულითა დიდებად შენდა:
ძრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილითა
სიკვდილისა დამთრგუნველი, დასაფლავებისა-შინათა,
ცხოვრების მიმჩქებელი:

აღდგომისა დღე არს განვბრწყინდებოდეთ აწ
ერნო, პასხა შფლისა პასხა, რომლითა ქრისტემან
ღმერთმან სიკვდილისაგან მისხნა, და ქვეყანით ცად
აღმიყვანა სუფევად

ზანვიშინდნეთ საცნობელნი და ესრეთ ვიხი-
ლოთ ნათელი უზილავი ქრისტეს აღდგომისა,
განმარწყინვებელი და ვიხაროდენი სიტუვა ცხადად
ვისმინოთ ძღვევისა მგალობელთა დღეს:

ცანი ყოვლად-ღირსებით მზიარულ იქმენინ
დღეს, და ქვეყანა იშვებდინ, დღესასწაულობდ ყო-
ველი სოფელი ხილული და უზილავი, ცხადად
ვისმინოთ ესრეთ, ძღვევისა მგალობელთა დღეს.

მოვედით და ესვვათ სასმელი ახალი, არა კლდით
მყარით ნიშოვან-ქმნილი, არამედ უზრწნელებისა,
წყარო ქმნილი ქრისტეს-საფლავით, რომლითა
განვსძლიერდით.

აწ ყოვლითურთ აღვისო ნათლითა ცა, და
ქვეყანა, და ქვესკნელი, და ყოველივე ქმნილი
დღესასწაულობს. აღდგომასა ძრისტესსა, რომლითა
განვსძლიერდით.

გუშინ შენთანა ჯვარს-ეცემოდი ქრისტე,
და თანა-აღსდგები დღეს აღდგომასა შენსა, გუშინ
შენ-თანა დადიფლოდი, შენ მადიდე მაცხოვარ.
სასუფეველსა შენსა.

საღმრთოსა სახმილავსა ზედა საღმრთო მეტ-
ყველი ამბაკო ჰსდევინ ჩვენთანა და გვიჩვენენ
ჩვენ ანგელოსი ნათლისა, ბრწყინვალედ მეტყველი
ესრეთ: ცხოვრება არს სოფლისა, რამეთუ აღსდგა
ქრისტე ვითარცა, ყოვლისა შემძლებელი.

ულმობელად განმღებელად ქალწულებრივისა
საშოსა, ითქვა ქრისტე, ხოლო ვითარცა კაცსა კრავად
ეწოდა, ხოლო უბიწო, ვითარცა უტოსსა ბრალთაგან
პასექსა ჩვენ-თვის, და ვითარცა ქეშმარიტსა ღმერთსა
სრულ სახელ-ედვა.

ვითარ ტარიგი უბიწო, მაკურთხეველი ჩვენი,
გვირგვინი ქრისტე, ნებსით ყოველთათვის
დაიკლა, პასექად წმიდა-მყოფელად, და ვალად
მშვენიერად საფლავით, სიმართლისა იგი მზე აღმო-
გვიბრწყინდა ჩვენ.

აღვიმსოთო ჩვენ; ცისკარსა მშსთვად და
მირონთა წილ, გლობა მიუძღვანოთ მეუფესა,
ვისილოთ სიმართლისა მზედ ცხოვრებისად ქრისტე,
ყოვლად აღმობრწყინებულთი:

ლამარ-შემოსილ, მიეგებნეთ ქრისტესა,
საფლავით გამომაველსა სიძესა, და ვდღესასწაულო-
ბდეთ მდღესასწაულეთა წესთა თანა, ცხოვრებისა
პასექსა.

შთახედ შენ, ქვესკნელთა ქვეშე ქვეყანისათა,



და შემპუსრენ მოქლონნი საუკუნოდ ჰყობილითა შემორკილებულთანი, და სამ-დღე მკვდარი, ვითარ იონა ვეშპით, ეგრეთ აღმსდგე საფლავით:

დაიკვენ, ბეჭედნი აღუტეხელად ქრისტე, აღდგომისა საფლავით, რომელმან კლიტენი ქალწულებისანი, არა განხრწენ შობასა, და განმიხვენ ბქენი სამოთხისანი.

მაქსოვარ, ცხოველი და დაუკლველი, მსხვერპლი, ვითარცა ღმერთმან, თავი თვისი ნებსით შექმსწირე მამისა, და აღადგინე აღამ, ყოვლით ნათესავეთურთ, რაემს აღმსდგე საფლავით.

ესე არს წმიდა და ჩინებულ დღე, საღმრთოდღე ესე ერთ-შაბათი, და დედოფალ და უფალ, და დღესასწაული დღესასწაულთა კრება კრებათა, რომელსა შინა ვაკურთხევთ, ქრისტესა საუკუნოდ:

მოვედით ვეზიარნეთ ახლისა ამის ვენახისა ნაშობსა, საღმრთოსა მხიარულებისა ბრწყინვალესა დღესა, აღდგომისა და ქრისტეს-სუფევისასა, ვაქებდეთ ვითარცა ღმერთსა უკუნისამდე:

ანგელოსი ჰლადადებს მიმადლებულთა. წმიდაო ქალწულო გიხაროდენ, და კვალად გიხაროდენ. ძე შენი აღდგნა მესამესა დღესა საფლავით, და მკვდარნი აღადგინნა ერთო გიხაროდენ:

განათლიე განათლიე, ახლო იერუსალიმი, დღეს დიდება უფლისა შენ ზედა გამობრწყინდა, განმსცხრებოდე და იხარებდ სიონ, და აწ შენცა, იშვებდი ღვთის-მშობელო, აღდგომისა ძისა შენისასა:

ჲი პასეკო დიდო და დიდებულო ქრისტე, ჲი სიბრძნეო ღვთისაო, და სიტყვაო და ძალო, მომეც ჩვენ უსრულესო მოღება, მადლითა შენითა დაულამებელსა მას, დღესა სუფევისა შენისასა:

აღდგომისა დღე არს განვპირწყინდებოდღთ დღესასწაულსა ამას, და ურთიერთარს შევიტკობთ, და ვპრქვათ ძმათა ჩვენთა, მოძულეთაცა ჩვენთა შეუნდოთ ყოველი აღდგომისა, და ესრეთ ღვთიურბრწყინვალედ დაღად-გჰყაით. ქრისტე აღსდგა მკვდრებით, და სიკვდილითა, სიკვდილი დაჰსართგუნა, ღ მყოფთა საფლავისათა ცხოვრება მიჰმალა!..

ამა შეადარე მკითხველო ამ საეკლესიო საგალობლების აზრი მკვდრებით აღდგომის ქრისტეზე იმ ნაწერებთან, რომელსაც ასე ხშირად სწერენ ქრისტეს აღდგომის დღესასწაულების დროს ჩვენი გაზეთების მეფელეტონენი. თქვენ აშკარად დარწმუნ-

დებით, რომ სძლის პირები და საგალობლების აზრი ძლიერ და შორებულთა გაზეთების მეფელეტონეთა აზრთაგან მეტი რომ არა ვსთქვათ...

დკპ. დ. დ—ქ.

მიხილ გაჩეილაქი ჭ მისი კალენდარი.

ბ. მიხილ გაჩეილაქემ ამა მდგომარე 1904 წლის თავის კალენდარში დასტამბა ვილაღ ვ. დ—ძის წერილი კაცის გაჩეილაქე და მით აუწყა მკითხველებს თავის უვიცობა და უკულმართი აზროვნება ქეშპარატების წინააღმდეგ. ეს წერილი მოგვითხრობს, რომ კაცი მიანიც და მიანიც დიდი სასწაულის ნაყოფი არ არის, იგი არის შექმნილი ბუნებისაგან და წარმოადგენს თანდათანობით განვითარებას სადა ორგანიზმებისასო. ამის დასამტკიცებლად წერილის ავტორს მოჰყავს ვითომ დამამტკიცებელი საბუთები სხვა-და-სხვა სწავლულებისა და სრულიად დარწმუნებული, რომ კაცი პირველად სულ სხვა იყო და ბოლოს გადიქვა კაცად; მას სურს ყველას გააგებინოს ეს ვითომ ქეშპარატები!.. რომ ბ. ვ. დ—ძის აზრი შემდგარია, ჩვენ ამის წინააღმდეგ საკმარისად ვსთვლით უჩვენოთ მას „დაბადების“ პირველი ვერედები, რომლის უსაფუძლობა რაოდენიმე საუკუნოების განმავლობაშიდ დღემდის ვერავის ვერ დაუმტკიცებია, პირიქით ქედს იღრეკენ მის წინაშე თვით დიდებულნი მეცნიერნიცა, და აღიარებენ, რომ კაცი ღვთის ქმნილებამა და არა მკვდარი ბუნებისა. —მე მსურს ვითხოო ბ. მ. გაჩეილაქეს, რა მიზნით დასტამბა ამ სახალხო კალენდარში ეს წერილი, — რომელიც სრულებით არ შეესაბამება კალენდარს ვისთვის ბეჭდვად ამ კალენდარში ამისთანა ბოდვას? თუთუ იმდენი არ ესმის ბ. გაჩეილაქეს, რომ ამისთანა წერილებს ვერ მოინელებს მ. გაჩეილაქის მსგავსი ტენის პატრონები? ასეთ თუ ისე ძლიერ შემცდარი არის ბ. მ. გაჩეილაქე, რომ ამისთანა წერილებს ბეჭდვად სახალხო კალენდარშიდ ყველამ ყარად იცის თუ რა გავლენა აქვს ბეჭდვითი სიტყვას ჩვენ მდამოი ხალხში; მას თითქმის ადამიანური ქეშპარატებათ მიანა რასაც ნახავს დაბეჭდილს გაზეთში გინდ კალენდარშიდ. (ეს გაზეთში ეწერა

და მართალი არის“-ო, „ეს კალენდარში ეწერა და ტყუილს ვინ დაბეჭდიდაო“, ასე იტყვიან ხოლმე უსწავლენი.—რადგან კალენდრის კითხვა ჩვენ ხალხში ძლიერ გავრცელებულია (თითქმის ყველა ოჯახში შეხვდებით კაღენდარს, როგორც ქალაქებში ისე სოფლებშიდაც) ამისთვის სახალხო კალენდრის გამომცემელი იმას უნდა ცდილობდეს, რომ ხალხს რაიმე სასარგებლო და ცხოვრებაში გამოსადეგი ცნობები მიაწოდოს და არა სარწმუნოებისა და ზნეობის დამამცირებელი, როგორც ამას ნებულობს ბ. მ. გაჩეჩილაძე, ჯერეთ თვითონ უსწავლელი. ჩვენის აზრით ამისთანა მახინჯი აზრის კალენდრებს და წიგნებს ყურადღება უნდა მიაქციოს მთავრობამ და არავის არ აძლევდეს ნებას მათ ბეჭედისას. მიკერს, რომ ჟურნალს „მწყემს“ ამ კალენდრის შესახებ არა უთქვამს-რა. *)

მღვ. მიხეილ ჩიქვინიძე.

მართლმადიდებელთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების 25 წლის იუბილე.

ოცდათერთმეტს მარტს შესრულდა 25 წელიწადი რაც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება არსებობს. რამდენიმე მოთავე პირთა მეოხებით დაარსდა ეს, მართლაც, მოსაწონი საზოგადოება. ვამბობთ რამოდენიმე მოთავე პირთა მეოხებით მიტომ, რომ ზოგიერთი დამაარსებელი პირნი ისე გულცივად ეკიდებოდნენ საზოგადოების საქმეებს, რომ გარდაცვალების შემ-

*) ეს სტატია მივიღეთ ჩვენ შემდგმის წერილით: მ. რ.! უმორჩილესად ვთხოვთ ამ წერაღს მგარე ადგილი დაუთმოთ თქვენს ჰატეგეუფ გაზეთ „მწყემსშიდ“ და თუ რამეღამე მიზეზის გამო არ დასტამავთ — იმ შემთხვევაში „მწყემსი“-ს ფასტით შარდინათ.

მღვ. მ ჩიქვინიძე.

ბეჭედავთ ჩვენ მამა მ. ჩიქვინიძის სტატიას თანახმად მისი თხოვნისა და ჩვენს პასუხს ამ წერილის გამო შემდგმს ნომერში გამოვსთქავთ.

რედ.

დევ დიდი მამულებიდან და ქონებიდან ერთი გროში არ დაუტოვებიათ, სიკვდილის დროს არც-კი გახსენებიათ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. თ. ნესტორ წერეთელია, დიმიტრი გურიელმა და გრიგოლ ორბელიანმა დიდი ქონება დასტოვეს, მაგრამ იმდენი თანხაც არ დაუტოვებიათ რომ ყოველ წელს მათი წლიური საწევრო ფულბს შეტანილიყო ამ საზოგადოების სასარგებლოთ!.. ზოგიერთები იტყვიან ხოლმე, რომ სიკვდილის დროს ვეღარ მოასწრეს თორემ უთუოდ დასტოვებდნ რამესაო. ესეთი გამართლება თავის მოტყუება არის. თ. ნესტორ წერეთლის სიკვდილის შემდეგ ყუთში ნახეს მისი ცოლის სახელითაზე მისგან დატოვებული 200 ათასი მანეთის ვექსილი, დიდი ხნის დაწერილი!.. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისათვის ფულბის დატოვება მას, ვგონებ, კიდევ ერცხვინებოდა!..

31 მარტს ამ საზოგადოებას მოუვიდა რამდენიმე მილოცვა. ამ მილოცვათა შორის სწორეთ სასიამოვნო მილოცვა არის ყ-დ სამდგდელო ლეონილის ქუთონისიდან. საქიროდ მიგაჩნია ამ მილოცვის საქვეყნოდ გამოცხადება. ეს მილოცვა ჩვენში ბევრს გაადვილებს და სულმოკლეთა გააბნევებს. აი ეს შესანიშნავი მილოცვა:

„ხვალ, მარტის ოცდათერთმეტს რიცხვს, ყველა შეგნებულ ქართველებს გვექნებათ საერთოდ დღესასწაული ჩვენ საყვარელ სამშობლოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ოცდა ხუთი წლის ნაყოფიერ და მეტად დასაფასებელი მოღვაწეობის წლის თავის გამო. ვისწრაფი გულით და გონებით ამ სისარულში მონაწილეობის მიღებას. ესთხოვ მკვდრეთით აღდგომილს მაცხოვარს შევიდროს თავისი მადლიანი კალთის ქვეშ ხსენებული საყვარელი საზოგადოება, გაამრავლოს წელნი და დღენი ამ საზოგადოების უანგარო და პატროსანი მუშაკებისა და შეასწროს ეს სასიკადელო მამულის შვილები იმ სანატრელ დღეს, რომ მათ მოქმედებას გამოეღოს საქართველოს თვითეულ დაბა-სოფელში ნაყოფი ასეული! ნიშნად წერა-კითხვის საზოგადოებისადმი გულითადი თანაგრძნობისა სიმდაბლით ღ დიდი მორიდებით მოგართმევთ ამასთან საზოგადოების თანხის გასამდიერებლად მკირედ წვილილს და ზნეობრივ მოვალეობათ უდგენ ჩემ თავს ყოველ წლივ. მარტის ოცდა თერთმეტ რიცხვს, ვიდრე

სამსახურში ვიქნები, შემოვიტანო ხოლმე ამდენივე.*)
გულითა და სულით მოწადინებული წერა-კითხვის საზოგადოების უმაღლესი წარმატებისა მდებალი ეხსიკებასა იმერეთას ლეონადა.

„მწეკისა“-ს კარანქსზოდენცა.

სახიზღარი მამლუღა.

სოფ. **გუჯარეთი** (გორის მაზრა). მღებარეობს თავ. ციციშვილების მამულზე, ბორჯომიდან 26 ვერსის მანძილზე; აქ გაღმოსახლებულან ოსები თითქმის ოცი წლის წინად ზემოქართლის სხვადასხვა კუთხებიდან. მთელი სამრევლო არის დაყოფილი ათ სოფლად და ეს სოფლები ერთი მეორეზე არიან დაშორებულნი. ეს საღაც მოსწონება აღგილი და საღაც საუკეთესო საძოვარი ალაგისათვის მიუგნია—იქ დასახლებულან. გუჯარეთის სამრევლო სულ მარტო ოსებისაგან არიხ შემდგარი. არიან სხვა და სხვა გვარის ოსები, მაგალითებრ: ფილიშვილები, ჯიკაშვილები, კოზონაშვილები, თომაშვილები, ქაჩიშვილები, კაჭაშვილები, ვალაშვილები და სხვანი. როდესაც სხვა-დასხვა გვარის ოსები არიან იქ ყოველთვის დაუტყობიელი უსიამოვნება არის ხოლმე. შურით სისხლის გადახდა ხომ ყველამ იცის. საყოველთაოდ ოსები მეტისმეტი თავმოყვარე ხალხია; ვაგლახად თავის ტოლს თავს არ დააზავრიანებს და ხშირად ასეთ არა სანატრელ ზნეობას მოჰყვება ხოლმე ბევრი უბედურება. აი სწორედ ასეთმა ზნეობამ და თავქედობამ ბოლო დროს იმსხვერპლა ყმაწვილი კაცი და ქალი—ზაქა თომაშვილი და ყაზახს ქაჩიშვილის მეუღლე ბარბალე. ეს ბოროტ-მოქმედება, როგორც სიქვეს დამსწერ პირებმა, ასე მომხდარა: 12 მარტს დილით გარდიცვალა ს. გუჯარეთში ერთი მოხუცებულთაგანი—ივანე კაჭაშვილი. ოსებს ჩვეულებაა აქვთ, გვიგებენ თუ არა რო მათ სოფელში გარდაიცვალა ვინმე, მაშინვე შეიკრიფებიან მიცვალებულის ოჯახში, მთელი სოფლის ქალი და კაცი, ვითომ და სანუგეშელათ,

გარდაცვალების დღიდან ვინემ დასაფლავებამდე ქირისუფლის სახლში მოუშორებლად არიან. ვაივს თუ არა ივანეს სიკვდილი ქალი თუ კაცი ყველა იქ მივიდა. მათშორის იყენენ ზაქა თომაშვილი და ყაზახს ქაჩიშვილის მეუღლე ბარბალეც. ივანე კაჭაშვილისას მივიდნენ აგრეთვე ყაზახს ლექსო და კიაზო ქაჩიშვილები (ძმები), ეს ქაჩიშვილები და ზაქა თომაშვილის ბიძაშვილები ერთმანეთში გადამტერებულნი იყენენ და დაენახათ თუ არა თომაშვილებს ქაჩიშვილების მოსვლა, წასვლა დაუპირებიით რომ რაიმე სიფათს არ შეყროდენ; მაგრამ ქირისუფლებს არ გაუშეით იმ მიზნით რომ გზაში არ დახვედროდნენ და უბედურობა რამ არ მოსლოდათ. ვახშობის დროს განსვენებული ზაქა თომაშვილი გამოსულიყო სახლის დერეფანში სუფრის შესატანათ, მაგრამ ბოროტ-მოქმედნი ლექსო და კიაზო ქაჩიშვილები იქვე ყოფილიყვენ ჩასაფრებულნი, პირველი მათგანი სცემოდა უკანდიდან, ხელები გაეკავებინა და მეორეს ხანჯალი ყელში მიეცა. გამწარებული შევარდნილიყო სახლში, საღაც ქალით და კაცით სავსე იყო და თვით სახლის უმფროსიც უსულლოთ იღვა, და ორ წამში უესულედ დეარდნილა. დაენახა თუ არა ონეს თომაშვილს თავისი ბიძაშვილი მკვდარი ზაქა თომაშვილი, ონესის ბიძაშვილი იყო) იმასაც ეძრო ხანჯალი და იქვე მომავალ ყაზახს ქაჩიშვილის მეუღლისათვის დაუკრავს თავზე რის გამო მეხუთედღეზე მინაც განუტევა სული. საქმე ამჟამად გამოძიებულს აქვს. ასე ამ ნაირად მამა პაპიდგან მტკიცეთ დანერგულმა ზნეობამ იმსხვერპლა 2 ადამანი. ნეტავი ასეთ უღიერ ზნეობას როდის მოეღვა ბოლო? ეს მეოთხე წელიწადია რაც, აქა ვარ მუდღლად, მაგრამ ასეთი საცოდობა—ბოროტი მკვლელობა, როგორც მოხდა ზემოთ მოხსენებულს რიქცეს არამც თუ მინახავს, არც-კი გამოიგონია ოსებთაშორის. თვით ღრმად მოხუცებულმა ოსებმა მიამბეს, რომ ასეთი მკვლელობა ოსობის დროსაც არ ყოფილაო, ასეთმა შემთხვევამ ყველას თავზარი დასცა.*)

გუჯ. სამრ. მღვ. ბუნედ. გაბიჩაძე.


*) რა ბედნიერი ვიქნებოდით, რომ ესეთი გრძობა გამოენიანთ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის სხვებისაც, რომელნიც ათას მანეთობით ბანქოს თამაშობაში აგებენ თითო ღამეს!..

*) სწორეთ სსსრცხას ამისთანა ამბავის მოთხრობა იმ სმღველეთათვის, რომელნიც ამ ოსების მოძღვრებათ ითვლებიან. ამისთანა კატეხს განს შეიძლება ქრისტიანებთ უწადეთ? ამისთანა ოსები შეგვიძლია ქრისტიანებთ ჩავთვალოთ? ნუ თუ დღემდის ვერ მოაშლევიან ეს საზიზღარი ჩვეულება თავიანთ მოწაუეს მოძღვრებამა?..

ქუთაისის შესანიშნავი ბაგრაბის ტაძრის გეგმა.

ყოველ სამეფოში სადაც კი ქრისტიანები სცხოვრობენ თითო შესანიშნავი ტაძარი მოიპოვება. ჩვენ დავიარეთ თითქმის ევროპის შესანიშნავი სახელმწიფოების სატახტო ქალაქები ზე შესანიშნავი ეკლესიების

აღმოსავლეთის მხრით კედელს. შიგნივ მორთულობა ამ ეკლესიისა უფრო გასაოცარი იყო. შიგნით ეკლესიის სვეტები ძვირფასი ქვისა უცხოეთიდან მოტანილი იყო. დღეს ისე დავჭევიდით, ისე დაკნინდით, რომ დანგრეულ ტაძარსაც ველარ ვიცავთ. შესანიშნავი ერთი მრგვალი სვეტი კანკელისა ვი-




სიები დავათვალიერეთ, მაგრამ ჩვენი ქუთაისის ბაგრაბის ტაძარი თავის დროზე არც ერთ სხვა დიდებულ ტაძრებს არ ჩამოუდგებოდა უკან. გასაოცარია ღმერთმანი, როგორ შესძლო ასე მცირე ქართველებმა ამდენი დიდებული და შესანიშნავი ტაძრების აგება? ტაძრის მხატვრობა წარმოგვიდგენს

ლაცას გამოუტანია და თავის მკედრის საფლავზე დაუდგამს! ჩვენმა ცნობილმა ტატიევმა მთლად დანგრევა განიზრახა ამ ტაძრის კედლებისა, მაგრამ მაღლობა ღმერთს მალე გადაიყვანეს ქუთაისიდან. ახლა კიდევ სხვებს სურს დაანგრეონ ამ ტაძრის კედლები და სხვა რამეზე მოიხმარონ!.. ჩვენმა განა-



თლებულმა ინტელიგენციამ კიდევ აღარ იცის ამ ტაძრის ისტორია და თუ იცის რამე, მხოლოდ ის იცის, რომ ჩრდილოეთის მხარეს ეკლესიის კედელი სუროთია დაფარული და მშვენიერ სურათს წარმოადგენს მისთვის!..



ბაღავერი ქუთაისის ბაგრატის ტაძრისა.
სიგრძით სამოც.და-ათი ალაბა—სიგანით ორმოცდა ორი ალაბი.


მათმა მეუფებამ უკვე აღძრა შუამდგომლობა ამ ეკლესიის განახლებისა. ვეცდებით, რომ გავა-
ცნოთ მკითხველს შესანიშნავი მათი მეუფების იმე-
რეთის ეპისკოპოსის ლეონიდეს შუამდგომლობა
უმალდესი მთავრობის წინაშე ამ ტაძრის განახლების
შესახებ.

დკკ. დ. დამასაიქ.

**ქუთაისის კათედრის ტაძრის გაფრთხილება
მხატვრობით ჭ საზოგადოელ მინი განახლება**

კარგი ხანია რაც საწყალი გლეხების ფულებით აშენდა ქუთაისის საკრებულო კათედრის ტაძარი, მაგრამ ყოველი მისი მნახველი ვაკვირებული ბრუნ-
დებოდა და არ იჯერებდა, რომ ეს ტაძარი საკა-
თედრო ეკლესია იყო. შინაური მისი მორთულობა
წარმოადგენდა არა კათედრის ტაძარს, არამედ უბ-
რალო შტატის სოფლის ეკლესიისას. მაგრამ დღეს,
რომ შეხვიდეთ ამ ეკლესიაში თქვენ გაოცდებით
და არ დაიჯერებთ, რომ ეს ქუთაისის კათედრის

ტაძარიაო. მათი მეუფების თაოსნობით და მაცადი-
ნობით ეს ტაძარი გაამშვენეს კედლების მხატვრო-
ბით, ძველი კანკელის განახლებით და მშვენიერი
ტამეტის იატაკით. კედლების მხატვრობა, ყოველად
სამღვდელოს თაოსნობით, უპირველესია თითქმის
საქართველოს ყველა ეკლესიის მხატვრობაზე,
არნამენტები და გველა მხატვრობისა ვადატანილია
გელათის შესანიშნავი ტაძრის მხატვრობისაგან. ამას
წინეთ ერთი ვილაცა მხატვრობის უკოდინარი პირი
აუგებდა მოწამეთის მონასტრის კედლის მხატვრო-
ბას და არ ქონდა იმედი, რომ ქუთაისის კათედრის
ტაძარი კარგად მოეხატათ. მხატვრობის ამ უკოდინ-
არი პირს ძლიერ მოსწონდა ვილაცა მალიარის
ხრამუსტოვისაგან მოწამეთის მონასტრის მხატვრო-
ბა რომელშიცა კედლის მხატვრობათა შორის წმი-
დანები დაეხატა ნესტორ წერეთლის, მისი მეუღლის
პელაგიას და მთავარ ეპისკოპოსის ეფსევის სახით!..
ამისთანა პირების აზრი და შეხედულობა მხატვრო-
ბის შესახებ, რასაკვირველია, სახეში არაა მისაღები.
ვისაც კი ესმის მხატვრობის საქმე სწორეთ დიდ
სიხარულს იგრძნობს ჩვენი საკათედრო ტაძრის
მხატვრობის დათვალიერების დროს. მაგრამ მოვი-
ცადოთ, ჯერეთ მხატვრობა დამთავრებული არ არის.
როცა მთლად გათავდება მუშაობა მაშინ შეგვიძლიათ
მართუხრათ მკითხველს მთელი ისტორია როგორც
ამ ეკლესიის ისე ამ მხატვრობის..



საზულისხმოდ

(ვიეთინიმე პირთა)

ქრისტე აღსდგა! და უოველი
დღეს იშუგებს და დღეს იხარებს,
მის-ნათელათ ეშმა—ბაღწი
ბნელს ჭურღმულში განიხარებს.

ქრისტე აღსდგა! მის ადგამით
ჯოჯოხეთიერ დღეს ირდევს,—
მისთვის ვინცა თავის ნებათ—
შავს უფესურულს ან მიემთხვევს!..

ქრისტე აღსდგა! თვის აღდგომით
 აღგვადგინა ჩვენცა უველა, —
 ვინცა თავსა თავის ნებით
 ნათელი არ დაუბნელა!

ქრისტე აღსდგა! უველა ვგალობთ,
 უველგან ისმის ეს სიმღერა,
 მაგრამ მისა! მისის მღერების
 თანხმად ვსაქმობთ, ან რამ გვეკერა?

ამ ბრწეინგალე სსწაუღმის
 ედემი კვლავ მოგვაცანა,
 მაგრამ მისსა წმიდა ნებას —
 ვასრულებთ კი საქმით განა?

ჭეშმარიტად აღსდგა ქრისტე!
 მის ღაღადებს ტან ქვეყანა!
 მაგრამ ჩვენ კი მარტო სიტუვით
 უნდა გვრწამდეს ეს დღე განა?

ოდენ სიტუვით სიამართლის თქმა
 და ზნეობით ბნელში უთფა —
 არას გვარგებს, რადგან ესე
 „დიდმა სიბრძნემ“ განანტოფა,

მხოლოდ მოყვასით სიყვარული
 და მისდაში კეთილ-გონობა —
 ვისაც გუღში უმარსია —
 მის მისნელს იგა მიემხრობა!

მისთვის გვმართებს მხოლოდ კეთილ-
 საქმით ვაშკოთ ჩვენ ადღვომა),
 რომ ჩვენისაც აღდგომის დღეს
 დირსად გვეგოს ჩვენ წარდგომა!..

თ. როსტომ — გუძა.




შორეულ-აღმოსავლეთის ნამესტნიკი აღმირალი ალექსიევი.




გენერალ-ადიუტანტი კუროპატკინი.
 დანიშნული შორეულ-აღმოსავლეთის ჯარის სარდალთ.



ჭურნალ-გაზეთებიდან.



ფელდ-მარშალი კაცურა, მთავარ-სარდალი იაპონიისა.



იაპონიის სამხედრო მინისტრი, გენერალი ტერაუჩი.

5 მარტს კიევის სამოსამართლო პალატის სესიას ჩერნიგოვში განუხილავს საქმე ურიადნიკის ზუბენკოსი, პოლიციელთა შერბაკისა და იაკოვლევისა და მოქალაქის ბუზუნკისა და რაკუტისა, რომელნიც პასუხის გებში ყოფილან მიცემულნი თორმეტის წლის ბავშვის წამებისათვის. როგორც საბრალმდებლო ოქმიდანა სჩანს, გლეხის ქალს პეილკინისათვის ვილასაც მოუპარავს ცხრა მანეთ-ნახევარი. ქალს ეს ამბავი განუცხადებია ურიადნიკ ზუბენკოსათვის და ამასთან უთქვამს, ექვი მაქვს მიტანილი 14 წლის ყმაწვილს გაბრიელ პეჩიორსკი-ზეო. ურიადნიკს დაუბარებია პატარა პეჩიორსკი, რომ გამოეტეხა, ჯერ-ჯერობით ულანძღავს, უგინებია, სიტყვით შეუშინებია და არაყი დაუღვეინებია; მაგრამ ბავშვი არ გამოტეხილა. ახლა-კი ურიადნიკს დაუწყია ცემა ჯერ ხელით, შემდეგ წაუქცევია მიწაზე ღ ფეხებით შესდგომია. პეჩიორსკის უთქვამს, ფული ტყეში მაქვს დამალულიო. ურიადნიკს მისინვე პეჩორსკი გადაუცია პოლიციელ შერბაკისა, იაკოვლევისა, ბუზუნკისა და რაკუტისათვის და უბრძანებია, ან ფული მოიტანეთ და ან ამისი ტყავიო. პოლიციელთ პეჩორსკი წაუყვანიათ ტყეში და თან გზაში შეუწერებლად სცემდენ თურმე. ტყეში დანიშნულ ადგილას ფული აღარ ამოჩენილა. პოლიციელებს ჯერ უცემნიათ ბავშვისათვის, შემდეგ გაუჩაღებიათ ცეცხლი, წაუგლიათ ბავშვისათვის ხელებში და ფეხებში ხელი და ცეცხლის აღზე დაუქერიათ, ამასთან უცემნიათ მუგუზღებით. მერე ეს უპატრონო მსხვერპლი ჩამოუყიდნიათ ფეხით ხეზე. ამ წამების დროს ბავშვს რამდენიმე ადგილი დაუსახელებია, სადაც ვითომ ფული ჰქონდა დამალული. პოლიციელთაც მიჰყავდათ ნაჩვენებ ადგილას და რადგან ფულს ვერ პოულობდნენ, ისევ წამებას შეუდგებოდნენ ხოლმე. მერე დღეს ცოცხალ-მკვდარი ბავშვი ისევ მიუყვანიათ ურიადნიკ ზუბენკოსთან. ურიადნიკი ძალზე გაჯავრებულია და ხელ-ახლა უბრძანებია, „ან ფული, ან-და ამისი ტყავი მე მომიტანეთ, ხოლო ხორცი ტყეში დასტოვეთო“. პოლიციელთაც წაუყვანიათ ტყეში და ისევ უწამებიათ. სასამართლოში გამოირკვა, რომ ზემო აღნიშნული მართალი იყო. სასამართლოს გადაუწყვეტია: ურიადნიკ ზუბენკოსათვის ყოველსა-



ვე უფლების ჩამორთმევა და პატიმართა რაზმში 1¹/₂ წლით გავზავნა, ხოლო დანარჩენთათვის—თითო წლით პატიმართა რაზმში გავზავნა. („ნოვ.“)

რუსეთის ფლოტის უფროსი აღმირალი მაკაროვი 31 მარტს პორტ-არტურთან ზღვაში დაიღუპა. განსვენებული აღმირალი დიდ ოკეანეს ფლოტის უფროსად წარსულ 8 თებერვალს დაინიშნა უმაღლესის ბრძანებით. აღმირალი მაკაროვი მეტად მკოდნე, ნიჭიერი და მხნე კაცი იყო. „რუსკია ვედომ.“-იმ ასე დახასიათა განსვენებული: „აღმირალმა მაკაროვმა მშვენივრად იცის საზღვაო საქმე; ამისთანა კარგი მკოდნე მთელს ევროპაშიაც ცოტაა. მაკაროვი იმ აზრისაა, რომ საზღვაო ბრძოლის დროს ფლოტი თითონაც უნდა მიდიოდეს მტერზე და არა მარტო მტრის მოგერებას სჯერდებოდეს. ამას გარდა მაკაროვი შესანიშნავი ტენიკიცაა, რუსეთის სამხედრო გემები თვალ-საჩინოდ გააუჭობებსა, რუსეთის არტილერიას ხომ მეტად დიდი ამაგი დასლ და დიდი სარგებლობა მოუტანა. შორეულ-აღმოსავლეთის ზღვაში მაკაროვმა 10 წელიწადი იმსახურა და აღმოსავლეთი აზია კარგად შეისწავლა. ექვი არაა, აღმირალი მაკაროვი კარგად ღირსეულად დაუხვდებდა იაპონელ აღმირალებს. აღმირალს მაკაროვს გამოცდილებაც კარგი აქვს, ცოდნაც, მაგრამ მხნე და გამოცდილ აღმირალს საკმაოდ ძლიერი ფლოტიც უნდა ჰყავდეს, რომ თავისი ცოდნა და გამოცდილება რიგზე გამოიჩინოს“.

ყველას დიდი იმედი ჰქონდა აღმირალ მაკაროვისა; განსვენებულმა, რამდენადაც შეიძლებოდა, გაამართლა კიდევაც ეს იმედი: პორტ-არტურის მებრუნაურები გაამხნევა და ნიჭიერ, შეუპოვარ ტოგოს მედგრად უხვდებოდა. განსვენებულს უტხოველი აღმირალებიც დიდის ქებით და თანაგრძნობით იხსენიებდნენ. ინგლისელ აღმირალ ფლიმენტს ეთქვა: ჯადმირალი მაკაროვი და აღმირალი ტოგო კარგად შეხვდებიან ერთმანეთს, ეგვა რუსის აღმირალს ნაკლები ფლოტი ჰყავსა“. განსვენებულს თითონ მტრები—იაპონელი მებრუნაურებიც დიდი ხანია იცნობდნენ და დიდ პატივსაც სცემდნენ, როგორც ნიჭიერ სამხედრო მწერალს და ტენიკს. იაპონიის მთავრობამ აღმირალ მაკაროვს რამდენისამე წლის წინად ამომავალ მზის ორდენიც უბოძა სასარგებლო ტენიკურ გამოკონებისა და ნაღმიან გემების გაუმჯობესობისათვის.

რუსის მებრუნაურების დასაფლავება ჩემულაში.
 ამას წინად იაპონელებმა ჩემულაში ზღვის ნაპირას 27 თებერვალს ბრძოლის დროს მოკლულ ორის რუსის მებრუნაურის გვამები იპოვეს და 12 მარტს დიდებულად დასაფლავეს. ინგლისური გაზ. „შენ-ჰაი მერკა“-ში ასეა აწერილი ეს დასაფლავება: „იაპონელებმა რუსის მებრუნაურების გვამები ორ-კეც კუბოში ჩასავენეს და ორთქლ-მავალ ნავთი ჩემულაში მისავენეს. ზღვის ნაპირიდან პროცესია ევროპიელების სასაფლაოსაკენ დაიძრა. პროცესიის წინ იაპონელ მებრუნაურების რაზმი მიდიოდა, რაზმს ინგლისელი მისიონერი მისდევდა; შემდეგ ბაღდახინით კუბოები მიჰქონდათ. კუბოებს რუსის ფლოტის ბაირალი ეფარა და უკან იაპონელების ზარბაზნი მისდევდა. კუბოები დიდ-ძალ ყვავილის გვირგვინით იყო შემკობილი. ბაღდახინის წინ ორ იაპონელ მებრუნაურს დიდი თივლები მიჰქონდათ. ბაღდახინს მისდევდნენ იაპონელების გემის უფროსი და მისი ამაღა სამხედრო საპარაღო ფორმით, ფრანგო, ამერიკელი, იტალიელი და გერმანელი მებრუნაურები, იაპონიის კანსული და სხვა ხალხი. ნაშუადღევს 1 საათზე პროცესია ევროპიელების სასაფლაოზე მივიდა და გათხრილ სამარსთან ინგლისელმა მისიონერმა პანაშვიდი გადაიხადა; ერთმა იაპონელმა მებრუნაურმა აფიცურმა მთელი პანაშვიდი იაპონურ ენაზე ვადაუთარგმნა იაპონელ მებრუნაურებს. პანაშვიდის შემდეგ იაპონელი აფიცურები კუბოსთან მივიდნენ და უკანასკნელი საღამი მისცეს: კუბოს წინ იაპონურ წესის თანახმად თავები დაიხარეს. ამის შემდეგ დანარჩენი უტხოველი აფიცურები, იაპონიის კონსული, იაპონელი მებრუნაურები და ყველანი, ვინც პროცესიაში მონაწილეობას იღებდნენ, გამოემშვიდობნენ რუსის მებრუნაურებს და ორივე კუბო სამარეში ჩასავენეს. ამ დროს იაპონელმა მებრუნაურებმა სამხედრო საღამის ნიშნად სამეჯრ დასკალეს თოფები. ასეთის პატივით დასაფლავეს იაპონელებმა რუსის მებრუნაურები“. (რ. ვ.)

31 მარტს დაღუპული გემი „პეტრევალოვსკი“ საეკადრო ჯავშნიანი გემი იყო, წყალ-წყვა—10 500 ტონა ჰქონდა, სიჩქარე—საათში 26 ვერსტს გადიოდა ჯავშანი 5—10 დიუბის სისქე ჰქონდა, 60-მდე ზარბაზნით იყო შეიარაღებული. გემზე 31-მდე აფიცური და 700 უბრალო მებრუნაური მსახურებდა



„პეტროპოლისის“ რვა მილიონამდე იყო დამჯარი.

მეორე დაზიანებული გემი „პობედა“-ს 1-ლი რანგის საესკადრო ჯაფშინიანი გემია.

კორეის გარეშე საქმეთა სამინისტროს ერთს მოხელესა და ერთს კორეელ პოლიკავშირის რუსებთან მიწერ-მოწერა ჰქონდათ გამართული. იაპონიის ელჩმა სეულში მოსახოვა კორეის მთავრობას, ეგ მოხელე და პოლიკავშირის უსათუოდ დასაჯეთა.

„მორინგ ლიდერ“-ს თანამშრომელს იაპონიიდან მომავალი სამი რუსის მეზღვაური უნახავს. რუსებს უთქვამს: იაპონიის წითელ ჯვრის საზოგადოება მეტად კარგად გვექცეოდა.

ტაიშის-ი იუწყება: ამერიკული ვაჭრები სწორენ, ესლა დროა, ვინმემ რუსეთსა და იაპონიას შუამავლობა გაუწიოს და მოარიგოსო. ამ მძიმე საქმეს ყველაზე კარგად ინგლისის მეფე ედუარდ მე-VII შეასრულებსო. ედუარდ მეფემდეგ ეს დიდი საქმე რომ თავს იღოს, იმედია, სხვა სახელმწიფოებიც მხარს დაუჭერენ და თითონ რუსეთი და იაპონიაც მადლობდნიან დარბეზიან მეფესაო. („რ. ლ.“)

უცხოეთის ჟურნალ-ვაჭრებში შემდეგი საინტერესო ცნობებია დაბეჭდილი იაპონიის მებრძოლ ფლოტის უმფროსზე: „ადმირალი ტოგო დაბალი ტანისაა, გამხდარი, თითქმის დაღუული კაცია, მაგრამ იმისი მაღალი ფართო შუბლი, მახვილი, დიწიკი სახე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე. ხშირი წვერ-ულვაშითა და მრგვალის თვალებით ადმირალი უფრო ვეროპილს ჰგავს, ვიდრე ჩვეულებრივ იაპონელს. ტოგო მეთექვსმეტე და მეშვიდმეტე საუკუნის განთქმულ მოგზაურებს, მაგალითად, ვასკო-დე-გამას მოგავსებო. ამ მოგზაურებივით ადმირალი ტოგოც მუდამ დაფიქრებულია, იმისი გონება დაუღალავად მუშაობს, მუდამ დიდებულ საზღვაო საქმეზე ფიქრობს და დიდ პლანებს აწყობს.

ტოგომ პირველად ჩინეთ-იაპონიის ომის დროს, 1894 წელს, ისახელა თავი. კაპიტან ტოგოს (იმ დროს კაპიტანი იყო) დაავალეს ვეი-ხაი-ვეის ალყა შემოარტყო. იაპონელებს აწნარი პლანი ჰქონდათ შედგენილი: ვეი-ხაი-ვეის ახლო ჯარი უნდა გადაეყვანათ, ტოგოსაც თავის გემით ამ ჯარისთვის დახმარება უნდა გაეწია. გამჭირავს, მამაცმა, თითქმის თავზე ხელ-აღებულმა კაპიტანმა ისეთი საქმე გაბედა, რომ მთელი იაპონია გააკვირვა. ტოგოს,

სხვათა შორის, ორი სწრაფლ-მავალი გემიც ებარა: „მოკო“ და „ტაგო. ბნელა ღამეს ამ გემებით ტოგო ვეი-ხაი-ვეის რეიდში შეიპარა, იქ თავშეფარებული ჩინელების ფლოტს ყუმბარა დაუშინა და ისე გამოიპარა, რომ ჩინელებმა ვერც-კი შენიშნეს. ჩინელებმა იფიქრეს, ალბად, მთელი იაპონიის ესკადრა დაგვეცაო. მას აქედ ტოგო ძლიერ შეუყვარდა იაპონიის ხალხს.

ომის შემდეგ ტოგო ჯერ იაპონიის უმთავრეს სამხედრო ნავთ-სადგურ სასებოს საზღვაო პრეფექტად დანიშნეს და მერე საზღვაო შტაბის უფროსად. 1895 წელს ტოგომ ადმირალ იტოსთან ერთად იაპონიის ფლოტის რეორგანიზაციის პლანი შეადგინა, მას აქედ ახალ ჯაფშინან გემებისა და კრეისერების აშენებას ხელმძღვანელობას უწვევდა და იაპონიის ფლოტს დიდ ბეჯითობით საომრად ამზადებდა. ომის დაწყების წინ ტოგო მებრძოლ ფლოტის უფროსად დანიშნა. („ბ. ვ.“)

ერთი ინდოელი ვაჭარი აი რასა სწერს რუსეთ იაპონიის ომზე: „აზიაში მხოლოდ ორი სახელმწიფო დარჩა დამოუკიდებელი: ავღანისტანი და იაპონია. ყველა დანარჩენი სახელმწიფო ან დაპყრეს ვეროპილებმა ან არა და ნახვერდ დამოუკიდებელი არიან; ამათ ვითომ და დამოუკიდებლობა იმით უნდა ავსნათ, რომ ვეროპილები ვერ შეთანხმებულან ჯერ იმის თობაზე, თუ როგორ განაწილონ ეს სახელმწიფონი.

ვეროპილების ძალმომრეობის წინააღმდეგ თუ ვინმემ პროტესტი განაცხადა, ვეროპილები მაშინვე „ყვითელ საფრთხეზე“ ყვირიან. დიდ ხანს „ყვითელ საფრთხის“ სახელით მონათლული იყო ეკონომიური შიში: ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს ეშინოდათ ყვითელ კანინების კონკურენციის ეკონომიურის ასპარეზზე. მხოლოდ ბოლო ხანებში ვეროპიელი მიხვდნენ, რომ „ყვითელ საფრთხე“-ს პოლიტიკური ხასიათიც აქვს. ჩინეთის მამაც პარტიოტების - მოკრივების მოქმედებამ აღმოაჩინა, რამდენად საშიშა ვეროპილებისათვის აზიის ხალხთა გაღვივება. მაგრამ ჩინეთმა ვერ მოახერხა და ვერ განახორციელა თავისი განზრახვა: ვეროპილები მალე შეთანხმდნენ, თავს დაეცნენ ჩინეთს მრავალის ჯარებით, დაამცირეს ბოლდიხანი და ჩინეთი, რომელსაც სამაგელი ხელშეკრულობა დააძლეს.

ბევრი ინდოელი გაჯაერებული იყო იმით, რომ მოკრივეთა წინააღმდეგ იაპონიაც ამხედრდა და ევროპაზელთ გვერდს ამოუდგა. მაგრამ ესლო ყველა დარწმუნებულთა, რომ 1900 წელს იაპონიის სრული სიმპატია ჩინეთის მხარეზე იყო; იაპონია იბრძოდა თავის სურვილის წინააღმდეგ და მხოლოდ იმიტომ, რომ მთელი ევროპა არ ამხედრებულყო მის წინააღმდეგაც. ეს ბრძნული პოლიტიკა იყო. მას შემდეგ იაპონია ემზადებოდა, ინგლისი გადიბორა და მარჯვე დროს რუსეთს ომი გამოუცხადა. ბევრი ინდოელი ეხლოც ჰკიცხავს იაპონიის დ ამბობს: «იაპონელები აჩქარდნენ, ჯერჯერობით არ უნდა შებრძოლებოდნენ ბუმბერაზს, უჯჯობესი არ იქნებოდა, მოეთინათ, ძალა შეეკრიბათ და უფრო მარჯვე დროს სხვა აზიელებთან ერთად ამხედრებულიყვნენ რუსეთის წინააღმდეგ!» მაგრამ ეს შემცდარი აზრია: გაივლის ნახევარი წელიწადი და ურწმუნო ინდოელებიც დარწმუნდებიან, რომ იაპონიამ მშვენიერად მოისახრა ყოველისფერი, კარვად გაითვალისწინა რამდენად სუსტია რუსეთი და რამდენად გაზვიადებულია მითქმნა-მოთქმნა მის ძლიერებას შესახებ.

აზიაში მხოლოდ ორი სახელმწიფო დარჩა თავისუფალი; დანარჩენი ერები დამონაგებულნი არიან და ნატრობენ ეროვნულ თავისუფლებას. იაპონიამ იკისრა აზიის ერთა განთავისუფლება ევროპიელების მიმე უღლიდან და პირველმა გაბედა ბრძოლა; ამით იაპონელები დაგვიმტკიცებენ, რამდენად ყალბია აზიაში ვაგრცლებული რწმენა, ვითომ აზიელებს არ შეუძლიათ ევროპის დამარცხება.

ყველაფერს მომავლი გვაჩვენებს. ყოველ შემთხვევაში იაპონია ისტორიულადაც და ეთნოგრაფიულადაც ინდოეთის უმცროსი და არის. ამიტომაც ყოველი ინდოელი თანაუგრძნობს იაპონიას და გამარჯვება მსურს მისთვის*. (*ნ. ვ. *)

იაპონელებისა ჭ იმათ რკინის გზების დასახასიათებლად მოვიყვანთ რუსულ გაზეთის „რუსკაია ვედომოსტი“-ს თანამშრომლის სიტყვებს (№ 238, 1903 წ.):

„როდესაც ნავასკაში პირველად სადგურზე მოვედი, გული გამიქდა, იმდენი ხალხი დაინახე. როგორ უნდა ავიღო ბილეთი ან როგორ უნდა დავიჭირო ადგილი ვაგონში?—გამიღვლა მაშინვე

თავში. მგზაერებს მატარებელზე უშვებენ წასვლამდის ორის წუთით ადრე. დამე იყო, ადგილობრივი ენა არ ვიცოდი, ამასთან ბარგიც უნდა ჩამებარებინა. ადვილად მიხედება მკითხველი, ყველა ამას როგორ უნდა ადველომენები.

მაგრამ მალე დარწმუნდი, რომ ეს შიშის უსაფუძვლო იყო. იაპონიაში, თუ თითონ გეზარება საქმის გაკეთება, საქამაო ფული მებარგეს (ყველა ფორმაშია და ნომერი აქვს) გადასცე და ის ხელად ბილეთსაც იყიდის, ბარგსაც ჩაგაბარებს და ვაგონამდისაც მიგაცილებს. ორი შაური რომ აწუქო, გულწრფელ მადლობას მოგახსენებს. თუ თვითონ გინდა ბილეთის აღება, საქამაო სადგური დაასახელო და თითით ანიშნო, რომელი კლასის ბილეთი გინდა. რაც უნდა ბევრი ხალხი იყოს, ბარგის ჩაბარების დროსაც არ დაგაყოვნებენ.

ბევრი ეიმგზაერე იაპონიაში, მაგრამ ვერსად, ვერც დიდ სადგურებსა და ვერც პატარებზე, ვერ გავიგონე ხმაურობა, ყვირილი, ღრიალი ან ლანძღვა. ხალხი ასობით და ათასობით ბილეთებს იღებდა, არივინ არავის არ აწუქებდა, არ აწუქებოდა და ყველა ასწრულად დროზე ბარგის ჩაბარებას და უდავიდარაბოთ ვაგონში ადგილის დაჭერას. საქამაო არ იყო არც პოლიციისა, არც კონდუქტორისა და არც რკინის გზის აგენტის საქმეში ჩარევა. ხშირად მიხდებოდა ხოლმე, რომ თავისუფალ ვაგონში დამე ვინმე დასაძინებლად წამოწებოდა. შემდეგ სადგურებზე შემოდრიოდნენ ახალი მგზაერები. თუ მწოლარეს მეტი ადგილი ეჭირა, საქამაო იყო ახლად შემოსულს ხელი დაელო იმისთვის, რომ იგი ხელად წამომტარიყო და ადგილი დაეთმო. გამაკვირვა, გამოაკა, რომ იაპონელი ასე ყურ-მხეხილია თავის უფლებებისა და მოვალეობის ცნობიერების საქმეში. რადგან რკინის გზის აგენტებიც მეტად სინიდიხორად და პირნათლად იქცევიან, ამიტომ იაპონელი-სთვის საქამაო არ არის სხვა ღონეს მიჰმართოს (როგორც ჩვენშია) ბილეთის ყიდვისა, ვაგონში ადგილის დაჭერისა და სხვა საქმის დროს. ყველა იაპონელმა (სულ ერთია—გლეხია იგი თუ პირველი კაცი სახელმწიფოში) იცის, რომ მისცემენ ბილეთს, მისცემენ ადგილს, იცის, რომ შეურაცხყოფას არ მიაცენებენ და იტაკზე არ დანავენ იმ დროს, როდესაც სხვის ადგილებზე ვინმეა წამოწოლილი. ამასთან იაპონელს ყოველთვის ახსოვს, რომ თვი-




თაც არა აქვს უფლება დაარღვიოს წესები, სხვა შეაწუხოს და მიისაკუთროს იმაზე მეტი, რაც ერგება. არ იფიქროთ, ამგვარი ცნობიერება მალად კლასებს შორის იყოს მხოლოდ განვითარებული. იგივეა მესამე კლასის ვაგონშიაც: წესის დარღვევას ვერც იქ დაინახავთ, ვერც იქ გაიგონებთ ლანძღვას, უშვერ სიტყვას. ჩვეულებრივ ისეა, რომ მესამე კლასშიაც ყველას ადგლი აქვს, ვერაიასა მანახავთ იატაკზე წამოგდებულს, გასავლელებში მდგამს. პატარბლის პატარა მოხელიდან დიდ აგენტამდე ყველამ კარგად იცის, რომ იგი საზოგადოებისთვის არსებობს და არა საზოგადოება იმისთვის. მხოლოდ ამით აიხსნება ის წეს-რიგი, რომელსაც იაპონიაში ყოფნის დროს ყველგან ვხვდებით”.

რა დაჯდება რუსეთი იაპონიას ომი? ფრანგული სამხედრო ჟურნალი „ფრანს მილიტარ“-ი შემდეგსასწერს რუსეთ-იაპონიის ომის თაობაზე: „რადგან ეს ომი მეტად დიდ ადგილზე სწარმოებს, ამიტომ რუსეთს დიდი ჯარი დასჭირდება: 800—900 ათასი კაცი მაინც უნდა ჩაიყვანოს. ეს ომი, ალბად 1906 წლამდე გასტანს. რუსეთს თვეში 70 მილიონი მანეთი დაეხარჯება ომზე, იაპონიას 47 მილიონი. ასე რომ ორ წელიწადში რუსეთს 1,600 მილიონი მანეთი დაეხარჯება, იაპონიას—1,200 მილ. მან. ინგლისს სამხრეთ-აფრიკაში ჯარების გადასაცემად და სამხედრო სურსათის გადასაზიდად 300 მილიონი მან. დასჭირდა, რუსეთსაც დაახლოვებით ამდენივე დასჭირდება. პირველ წელიწადს რუსეთიც და იაპონიაც თავიანთის სახელმწიფო ნაღდის ფულითა და შინაგან სესხით წაიღონ იოლად, მეორე წელიწადს-კი ორსავეს გარეშე სესხის აღება დასჭირდებათ. იაპონიას მცირე სახელმწიფო ვალი 650.570 მილ. მანეთი—ვალი აქვს და ამ მხრივ უკეთეს ყოფასა და გარემოებაშია, ვიდრე ევროპის სახელმწიფოების უმეტესობა, ამიტომ იაპონია ადვილად იშოვის გარედ ვალს და ვალის სარგებელს—დაახლოვებით წელიწადში 70 მილიონ მანეთს—ადვილად გაისტუმრებს.

ახალი ამბები და შენიშვნები.

****** 20 მარტს ქუთაისის ოლქის სასამართლოს, როგორც „ნოვ. ობოზ“-ს ატყობინებენ, განუხილავს 34 ქიათურელი მუშის საქმე, ამ მუშების პბრალდებოდათ გაფიცვა და უწესიერების მოხდენა. სამი ბრალდებული საქმის გარჩევამდე გარდაცვლილა, ასე, რომ პასუხის გებაში მიეცა 31 კაცი. საქმე ხალხის დაუსწრებლად გაიჩნა. განაჩენი გამოაცხადეს 24 მარტს, შუალამის 12 საათზე. სასამართლომ სამი ბრალდებული დამნაშავედ არ იცნო და გამართლა, 22 კაცს მიესაჯა 3 თვით დაპატიმრება თითოს, ერთ მცირე წლოვანს—თვე-ნახევრით დაპატიმრება. ხუთი კაცი სასამართლომ გაფიცვის მეთაურებად იცნა. აქედან ერთს მიესაჯა 6 თვის საპრობილემო დაპატიმრება, ხოლო ოთხს—ოთხის თვით თითოს. ბრალდებულთ იცავდნენ: ნ. კ. მურავეივი (მოსკოვიდან) გ. ლ. კორიაკინი (ვორონეჟიდან), ნ. ზ. ვლაჟა და ნ. გ. მზარეულიანიცი (ტფილისიდან) და ჩხარელი კერძო ვეჟილი ბ. დ. ლოლაძე.

****** ნავთ-სადგურის უფროსის კონტრ-ადმირალის გვიგორგვიჩის დეგეზა, პორტ-არტურიდან 31 მარტს 1904 წელს გამოგზავნილი მის უდიდებულესობის სახელზე: №1 „ჯავაშნიანი გემი ადებროპავლოვსკი“ ნაღმს წააწყდა, აფეთქდა და გადაბრუნდა. ჩვენი ესკადრა ოქროს გორასთანაა. იაპონიის ესკადრა გვიახლოვდება“. №2 „ადმირალი მაკაროვი, როგორც ეტყობა, დაიღუპა“. №3 „დიდი მთავარი კირილე ვლადიმირის ძე გადაჩენილ იქმნა. იგი მსუბუქად არის დაჭრილი“. № 4 „უქვეშევრდომილესად ვაუწყებ თქვენს უდიდებულესობას, რომ „პეტროპოვოლსკი“-დან ჯერ-ჯერობით გადაარჩინეს, დიდ მთავრო გარდა, მძიმედ დაჭრილი პირველი რანგის კაპიტანი იაკოვლევი, ლეიტენანტები იენიში და უნკოვსკი, მიჩმანები შმილტი, იაკოვლევი და შლიპპე. 32 ჯარის-კაციდან ზოგი მძიმედ, ზოგი მსუბუქად არის დაჭრილი. იპოვენს გვაგები მეორე რანგის კაპიტანის ვასილიევისა, ლეიტენანტ კნორინგ 1-სა, მიჩმანების ეკიმოვის და ბურაჩკისი, უფროს ექიმის ვოლკოვიჩისა და 12 ჯარის-კაცისა. იაპონიის ფლოტი წავიდა. დაწვრილებით ამბებს



გაუწყებთ კონტრ-ადმირალი თავიდი უხტომსკი, რომელიც შეუდგა ფლოტის დროებით უფროსობას“.

ნამესტნიკის გენერალ-ადიუტანტის აღექსევის დღეშა, ხელმწიფე იმპერატორის მიმართ მუკდენი-დან 1914 წელს 31 მარტს გამოგზავნილი: №1 „თანახმად ამ წუთის მიღებულ დღეშისა გენერალ-ადიუტანტის სტესელისა, დიდის მწუხარებით ვაუწყებ თქვენს უდიდებულესობას, რომ ჩვენმა დიდოკეანეს ფლოტმა დაპარგა თავისი გამოცდილი და სყვარელი უფროსი, ადმირალი მაკაროვი, რომელიც საფლავმანო გემთან ერთად დაიღუპა. როცა მტერი გამოჩნდა ჩვენი ჯაგშნიანი გემები და კრეისერები ფლოტის უფროსის დროშით გავიდნენ და მტრის ესკადრის ერთ ნაწილს დაედევნენ. როცა მტრის ესკადრა 30 გემამდე გადიდა, ჩვენი ესკადრა უკანვე რეიდზე დაბრუნდა. ჯაგშნიანი გემი «პეტროპავლოვსკი» ნაღმს წააწყდა და დაიღუპა. ამ გემზე მყოფი დიდი მთავარი კირილე ვლადიმერის ძე გადარჩა და მხოლოდ მსუბუქად დაიჭრა. ჩვენი ესკადრა შინ დაბრუნდა. იაპონიის ესკადრა ლიაოტუ მანთან დგას. ამ დღეშის გამოგზავნამდე ფლოტის უფროსისაგან არავითარი ცნობა არ მოგვსვლია. ზემო აღნიშნულს უქვემდგომილესად ვაუწყებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას“.

გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის დღეშა, მის იმპერატორებით უდიდებულესობის სახელობაზე 31 მარტს გამოგზავნილი: „გენერალი კაშტალინსკი მაუწყებს, რომ 30 მარტს ჩვენის მოწინავე რაზმისა და იაპონელების შეტაკების დროს მოკლულ იქმნენ მე-12 პოლკის აფიცერი, მამაცი პარუზიკი დემიდოვიჩი და უნტერ-აფიცერი ლუკინი, რომელიც უკვე წარდგენილი იყო ორ ჯილდოს მისაღებად, და ორი ჯარის კაცი; ორიც დაგვიკრეს. ზემო აღნიშნულს თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას უქვემდგომილესად მოვახსენებ“.

* * * 31 მარტს, დილით, დასაზვერავად გაგზავნილი იყო რვა ნაღმიანი გემი. ამათგან ორს გემს „სტრაშნი“-სა და „სმელის“ დაეწია და იერიში მიიტანა მტრის ექვსმა ნაღმიანმა გემმა. მტრის ნაღმიან გემებს შეკლოდა ექვსი დიდი გემი. ბრძოლის დროს დაიღუპა „სტრაშნი“. ნავთ-საღვურიდან გავიდა კრეისერები „ბაიან“-ი, შეებრძოლა მტრის და გადარჩნა „სტრაშნი“-ს ხუთი მატროსი. კრე-

ისერის დახმარებით ჩვენი ნაღმიანი გემები ნავთ-საღვურში დაბრუნდნენ. „ბაიან“-ს ნავთ-საღვურიდან გაჰყვნენ დანარჩენი გემები ესკადრისა და იერიში მიიტანეს მტერზე, რომელიც უკან იწვედა. იერიშიდან დაბრუნებისას „პეტროვსკ“-ზე აფეთქება მოხდა და ორის წუთის შემდეგ ჩაიძირა კიდევ. გემზე 600 მატროსი იყო. ამათგან მხოლოდ 75 კაცი გადაარჩინეს. სხვათა შორის დაიღუპა ცნობილი მხატვარი ვერეშაგინი.

* * * შინაური საქმეები კორეისა უვარგისდება. ცეცხლმა განადგურა კორეის იმპერატორის სასახლე. იქაური ვახუთების ცნობებით, ადმირალის მაკაროვის სიკვდილმა იაპონიაში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. განსვენებულის მამაცობას იაპონელები დიდის ქებით იხსენიებენ. სამხედრო სამინისტრომ ტუკიოში შესწყვიტა კორესაბუნეტებისათვის ჯარში წასასვლელ ნებართვის მიცემა.

* * * იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიძემ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, ოცდა ხუთი წლის იუბილეს გამო, შესწირა 100 მანეთი. ამასთან ყოველ სამღვდელს ლეონიძემ აღუთქვა, ვეცდები ყოველ წლიწილად აღმოუჩინო «საზოგადოებას» ასეთი შემწეობა.

* * * „მოსკოვის უწყებანი“ ბევრს რამეს ფიქრობენ გადამდგარი ეპისკოპოსების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. იგი ურჩევს მართებლობას, რომ დააარსონ მარტო ამ გადამდგარ ეპისკოპოსთათვის ცალკე უდაბნო, რომ მათ უკეთესად იცხოვრონ. ამასთან უმაღლეს მართებლობას ურჩევს, რომ გადამდგარი ეპისკოპოსები დაინიშნონ სახელმწიფო საბჭოს წევრებადო. სახელმწიფო საბჭოს წევრებად ბევრი მაღალი ხარისხის საერო წოდების გადამდგარი პირები ინიშნებიანო და ფიქრობს „მოსკოვის უწყება“, გადამდგარი ეპისკოპოსები ბევრ ამისთანა პირებზე უფრო სასარგებლონი იქნებიანო... მოსკოვის უწყება მხოლოდ არაფერს ამბობს პენსიის შესახებ თუ რამდენი უნდა დაეინიშნოს გადამდგარი მღვდელთმთავრებს, რომელნიც სახელმწიფო რჩევაში დაინიშნებიან. (ც.ი.ი. №3. № 6 1904 წ.)

* * * გამოვიდა საბეჭდავიად პატარა წიგნი სახელად: «საშუბარი დაბადებიდან» ქვეყნისა და კაცის გაჩენაზე. გამოცემა „მწყემსი“-ს რედაქციისა. წიგნი შესდგება 56 გვერდისაგან და ღირს 5 კაპ.

* * * გამოვიდა სასწავლო ჟამნი მე-3 გამოცემა



უფრო დაკლებული ფასით: ყლით ორი აბაზი და უყლით, მავთულით შეგკერილი ძლიერ მაგრად, ექვსი შაური. წიგნების გამყიდველთ დაეთმობა მანეთზე ოცი პროცენტი.

* * რედაქციამ მიიღო პატარა წიგნაკები: 1. **შურღული** ია ერაძისა, „ივერიიდან“ გამომბეჭდილი. წიგნი 84 გვერდია ლამაზად გამოცემული და ღირს ათი კაპეიკი. 2. ისტორია ქართლის **ბაზმთმზის** და **შურღულმზის** გამოცემისა, ზ. ჰოქინაძის გადმო-ბეჭდილი კრებულიდამ წიგნი შესდგება 64 გვერ-ლიდან და ღირს ერთი აბაზი. 3. ყ-ღ სამღვდელთ აღექსანდრე. ეპისკოპოსი გურია-სამეგრელოსა წიგნი სუფთად და შრიანად არის გამოცემული და ღირს 20 კ.

* * აღმირალი ტრავოს მოხსენება: „წინაღვე შემუშავებულ დისპოზიციის თანახმად, ჩვენმა შეე-რთებულმა ფლოტმა მერვედ მიიტანა იერიში პორტ-არტურზე. კონტრ-ნაღმიან გემების მეოთხე და მეხუთე ფლოტილიამ და ნაღმიან გემების მეოთხ-ნმეტე ფლოტილიამ 29 მარტს, შუალამისას, რეიდის შესვლამდე მიადწიეს. თუმცა რუსები პროექტორებით მიდამოებს ანათებდნენ, მაგრამ ჩვენმა გემე-ბმა მაინც მოახერხეს და აქა-იქ ნაღმები გაფანტეს. კონტრ-ნაღმიან გემების მეორე ფლოტილიამ 30 მარტს, გათენებისას, აღმოაჩინა რუსების 1 ნაღმიანი გემი, რომელიც ნავთსადგურისაკენ მიემშურებოდა. ათის წუთის ბრძოლის შემდეგ რუსების ეს გემი ჩვენებმა ჩასძირეს. მეზღვაურთა გადასარჩენად დრო აღარ იყო, რადგან გვიახლოვდებოდა კრეისერი ზეიანია. შემდეგ ჩვენებმა აღმოაჩინეს მეორე კონტრ-ნაღმიანი გემი, რომელიც ლიაოტეშანიდან გვიახლოვდებოდა. ამ გემზედაც ჩვენებმა იერიში მიიტანეს, მაგრამ იმან ნავთსადგურს შეაფარა თავი. მესამე ესკადრა დაილის 8 საათზე პორტ-არტურის განეთა რეიდამდე მიადწიეს. „ბაიან“-მა ყუმბარების სროლა დაუწყა. სროლა დაიწყეს აგრეთვე „ნოიკა“-მა, „ასკოლდ“-მა, „ღიან“-ამ „პეტროპავლოსკა“, „პობედა“-მა და „პოლტავა“-მ, რომელნიც იერიშის მოსატანად მოდიოდნენ ჩვენზე. ჩვენი მესამე ესკად-რა განგებ პასუხს აძლევდა ჭაუჭქარებლად ისროლა ყუმბარებს, ამავე დროს ნელ-ნელა უკან იხევდა იმ დრომდე, ვიდრე მტერი აღმოსავლეთისაკენ, დაახ-ლოვებით 15 მილის მანძილზე, არ გაიტყუილა: მაშინ მივიდა ჩვენი მესამე ესკადრა, რომელსაც

ყველაფერი უმავთულო ტელეგრაფით ეცნობა. ჩვენი ესკადრა მისვლისთანავე მიესია მტერს. რუსები ცდილობდნენ ნავთსადგურში შესვლას. ამ დროს ერთი გემი, „პეტროპავლოსკა“-ის მსგავსი, წინა დამეს ჩვენმიერ ჩადგულ ნაღმს წააწყდა და დაიძი-რა. დილის ათ საათსა და 32, წუთზე, როგორც ეტყობოდა, დაზიანდა და ბრძოლის ველიდან წავიდა მტრის მეორე დიდი გემი. ამ დროს ისე აირივ-ღაი-რინენ რუსის გემობს, რომ ვერ გავარჩიეთ დაზი-ანებული გემი. ბოლოს რუსის გემებმა ნავთსადგურს მიადწიეს. ჩვენ მესამე ესკადრას არავითარი ზიანი არ მოსვლია. ზემოდ აღნიშნულს გარდა რუსების წინაიც უმინშენგლო უნდა იყოს. ჩვენი პირველი ესკადრა ნავთ-სადგურს იმდენად არ მიახლოვებია, რომ სიმაგრებიდან მტრის ყუმბარა მოუწვენოდა. ნაშუადღევს პირველ საათზე მთელმა ჩვენმა ფლოტ-მა უკან დაიწია, რომ მომხადებულებოდა ხელ-ახლად დასცემოდა მტერს. 1 აპრილს მთელი ჩვენი ფლოტი ხელ მეორედ გაემართა პორტ-არტურისაკენ. კონტრ-ნაღმიან გემების მეორე, მეოთხე და მეხუთე ფლოტილია და ნაღმიან გემების მეცხრე ფლოტი-ლია ნავთსადგურს მიუახლოვდა დილის 3 საათზე, ხოლო მესამე ესკადრა—დილის 9 საათზე. ჩვენ აღმოვაჩინეთ რუსების მიერ ჩაწყობილი სამი ნაღმი და სამივე მოგვპეთ. კრეისერები „ნისინი“ და „კა-სუგა“ გავგზავნეთ ლიაოტეშანის დასავლეთით, საიდანაც ისინი ორი საათის განმავლობაში ყუმბა-რებს ისროდნენ. ეს გემები დღეს პირველად იყვნენ ბრძოლაში. საღამო ხანზე ჩავაჩუმეთ ლიაოტეშანზე გამართული რუსების ახალი სიმაგრეები. ჩვენი ფლოტი პორტ-არტურიდან ნაშუადღევს 1 საათსა და 30 წუთზე წავიდა.

* * ბ-ნმა სტეფანე ზუბალაშვილმა შემოწირუ-ლება გამოუგზავნა „ქართველთა შორის წერა-კით-ხვის გამავრცელებელ საზოგადოება“-ს ბ-ნ ზუბალა-შვილს ბაქოდან წერილით მიულოცნია „საზოგა-დოების“ გამგეობისათვის 25 წლის არსებობის დღე და თან 10 ათასი მანეთიც წარმოუგზავნია.

* * 7 აპრილს, ნაშუალამევის 3 საათსა და 40 წუთზე, საღგურ აბაშასა და პლატფორმა ნოსირს შუა მიმავალ მატარებლის საფოსტო ვაგონზე შეხტა ოთხი ყაბალახ ახეული და ჩერქეზულად გამოწყო-ბილი ავაზაკი, შევიარადებული ბერდანებითა და ხანჯლებით. მორგებულის ვასალებით გააღეს ვაგო-

ნის კარი, მსუბუქად დასჭრეს მარცხენა ხელში ფოსტის მოხელე ხოშტარია და ერთმანეთს გადააბეს ბაწრით ისა და ფოსტალიონი ჩიტავა. შემდეგ მოიტაცეს პარკებიდან 2199 მან. 11 კაპ. და სმიტ-ვესლონის რევოლვერი; დაბიეს ოთხი ტყვიის ტომარა და წაიღეს რაც შიგ იყო; დასტოვეს 1 ხანჯალი და გასაღებები; ბოლოს პლატფორმის ახლო ჩამოხტნენ და მიიძღნენ. ადგილობრივ პოლიციას მაშინვე შეატყობინეს და იმანაც ღონისძიება მიიღო ავაზაკთა აღმოსაჩენად.

საფოსტო ვაგონის გამარცვის შესახებ შემდეგ დამატებით ცნობებს აწვდიან: „ცნობის ფურცელს“ ავაზაკთ წაუღია 1) 2199 მან. 11 კაპ. ქაღალდის პაკეტებიდან, 2) ტყვიის 4 ტომარიდან 100,288 მან. 14 კაპ., 3) კიდევ 168 მან., 4) ერთი რევოლვერა; სულ დაკარგულია 102,555 მან. 30 კაპ., გამოძიებაში აღმოაჩინა, რომ ნოსირის პლატფორმასთან მატარებლიდან არავინ ჩამოშტარია. ეჭვი შეიტანეს თითო ფოსტის მოხელეებზე—ხოშტარიასა და ჩიტავაზე, რომელნიც უკვე დააპატიმრეს.

* * * ღღემდის ეკკლესიების ასაშენებლად ფულების შეგროვებისათვის მრევლის ყრილობა აღირჩედა სანღო პირებს და ფულის მოგროვებასაც ენევე ყრილობა გარდასწყვეტავდა. ღღეს უწმინდესმა სინოდმა ესეთი უფლები მრევლთა უკანონოდ იცნო და ნება ეძლევა მრევლს მხოლოდ შუამდგომლობა აღძრას მღვდელმთავრის წინაშე ან კონსისტორიისა ფულების შეკრებაზე ეკკლესიის ასაშენებლად. საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ ბევრი უწესოება ხდება ზოგიერთ ფულების შემკრებ პირთაგან და სანალრელია სისრულეში მოვიდეს ამ უკანასკნელ დროის ყ-დ სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის ღვინდის მიერ მოხდენილი ვაჭარ-გულედა ყოველ ვაჭარებში...

* * * **პირიღაში** იმეკონება გასაყილელი ორი ზარბ 15 და 20 ფუთიანი ფინლიანდის ზარის ქარხნისა. ფუთი ოც მანეთად. ზარები მშვენიერი ხმის არის. მსურველთ შეუძლიათ იკითხონ ვაჭარ იორდანე ცერცვაქსთან.

* * * ბ. თოფურის საავადმყოფო ისე მშვენიერად არის მოწყობილი, რომ უტყობეთის გამოჩენილმა ექიმებმაც ძლიერ მოიწონეს და ილარეს, რომ ესეთი მოწყობილი საავადმყოფო უტყობთა იშვიათად ინახებაო. სამწუხაროდ სამწუხაროდ ამ

საავადმყოფოს ეღმდის არა ჰქონდა რენტგენის სხივებით სწეულთა გასაშიჯი მანქანა და ღღეს ესეც კი შეიძინა. როგორც „ცნობის ფურცელს“ ვკითხულობთ: „9 აპრილს თოფურის საავად-მყოფოში მოხდა ქუთათურ სამკურნალო საზოგადოების მორიგი კრება. კრებამ მთელი სხდომა მოიხლო აპარატის სინჯვას. ექიმმა ტერტეროვმა აუწერა საზოგადოებას აპარატის მოწყობილობა, იმისი მნიშვნელობა მედიცინაში და აჩვენა, თუ როგო უნდა ხმარება. აპარატის საშუალებით გასინჯეს 2 კაცი. ერთი თუმცა პერანგ-ვახდლი იყო, მაგრამ სხივებმა იმის სხეულში ხეირიანად მიიწვევ ვერ გაატანა და ეკრანზე მკრთალი სახე აღინიშნა. ეს იმის მიზეზი იყო, რომ მსუქან სხეულს სხივები კარგად ვერ აწერს. მეორე ტანისმოსიანად გასინჯეს, მაგრამ ეკრანზე ყველაფერი მშვენიერად გამოჩნდა: ხელის ჩონჩხი, გულის ფიცარი, თირკმლები, გულისა და ფილტვების მოძრაობა და სხ. დამსწრეთ აჩვენეს აგრეთვე რენტგენის სხივებით გასინჯულ ხელის ჩონჩხის ფოტოგრაფიული სურათი, სადაც ნათლად მოსჩანს ნემსის ნატეხი. აპარატის საშუალებით შეიძლება გასინჯოს მყოლიარე ავად-მყოფიც, ლოგინიდან დაუნძრელები. მთელი აპარატის გამოჩვენა მან თოფურის 4000 მანეთად დასჯდომია. ეს აპარატი ღღეს სამსახურს გაუწევს ავად-მყოფებს.

* * * გენერალ-ადიუტანტის კუროპაკინის დეპეშა, მის უდიდებულესობის სახელობაზე გამოგზავნილი 12 აპრილს: „გენერალმა ზასულიჩმა მაცნობა: ამ ბოლო დროს შევნიშნეთ, რომ იჯუს მიდამოებსა, სოფელ სიგუსთან და 15 ვერსის ზემოდ იაპონელნი პონტონებს ალაგებენ, ნავებს თაღს უყრიან და მასალას ამზადებენ ხიდისათვის; 10 აპრილს სიაოპუსისებს ქვემოდ, 15 ვერსის მანძილზე, მდინარეს გადავიდა იმათი ერთი რაზმი, ორის როტისა და მკეროვდენ ცხენოსანთაგან შემდგარი. გენერალ ზასულიჩს ზომები მიუღია მოწინავე სადარაჯო რაზმების დასახმარებლად. სიაოპუსიხედან ოცის ვერსის ზემოდ შეუნიშნავთ, რომ იაპონელები ემზადდებოდნენ მდინარეზე გადასასვლელად. იალუს სამხრეთ მიდამოებში 11 აპრილს სიწყარე იყო.“



სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობაში და მეცნიერებასა და კეთილ- შენიერებაზე.

საუბარი დაბადებიდან.

VIII.

დაცმა ადამიანისა.

წიგნი „მეცნიერება“, თავი 8.

(შემდგომი*)

პირველი კაცი და ქალი შემოქმედმა ვერეთ წოდებულს „ედემის“ (და არა „ედემის“) ბღში მოათავსა, რომელიც აღმოსავლეთად მდებარეობდა. ეს ბღი, რომელსაც ჩვეულებრივ სამოთხეს ეძახიან, სრულისა და დაურღვეველ ნეტარების ადგილი იყო.

აღამს, როგორც ნეტარს მცხოვრებს სამოთხისას, უნდა მოველო მისთვის და დამეშუაფებინა იგი, რადგან ნეტარება უშრომლად ყოვლად წარმოუდგენელია. იგი უფროად ბაღს, მაგრამ დაღალვას-კი არა გრძნობდა, —და იცავდა მის თვისის მეფური უფლებით, მაგრამ პირველი ადამიანების ნეტარებას საუცხოვო ბინა და სამეფო უფლება კი არ შეადგენდა; ღმერთთან პირდაპირი ერთობა და საკუთარი უმანკობა, —აი რა იყო მათი უმადლესი ბედნიერების თავიდათავი მიზეზი.

ყოველი ქმნილება კაცის სასარგებლოთ იყო გაჩენილი; მაგრამ, ყოვლისავე ამის დასამთავრებლად, სამოთხეში იყო ერთი საუცხოვო თვისების ხე: მისი ნაყოფი ადამიანს უკვდავებას ანიჭებდა. ამ ხეს სახელიც ასეთივე ერქვა: „ხე ცხოვრებისა“. —ხოლო რომ ჩვენს „პირველ მშობლებს“ მუდამ ხსოვებოდა თავისი დამოკიდებულება ღმერთზე და შეძლებოდა მისდამი თვისი შეილებრივი ერთგულება საქმით დაემტკიცებია, —ამისთვის ღმერთმა პირველ ადამიანებს ერთი ხის ნაყოფის, —მთელ ბღში ერთ-

თად ერთი ხის ნაყოფის, —ქამა აღუკრძალა, რომელსაც სახელიად „ხე ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა“ ეწოდა. —მელი არ იყო ამ მცენების შესრულება, —რადგან პირველ ადამიანებს სრულიად არ ესაჭიროებოდათ აღკრძალული ხის ნაყოფის ქამა. უთვალავი და ფრიალ საკეთილო იქნებოდა ამ მორჩილების შედეგები! მანამდის ადამიანები მხოლოდ კეთილს იცნობდნენ; ღმერთს ნებავდა, რომ მათ ბოროტი არ გაეცნოთ, ის ბოროტი რომელშიაც მათი დღეუბა იყო. მაგრამ ქალმა ვერ შესძლო მორჩილება, მან თავი ვერ შეიპყრა და მცენების დარღვევის სურვილს გაეტაცინა. —როცა ამ დამღუპველ ფაქტს წარმოიდგენ, წინასწარმეტყველთან ერთად თავის თავს უნებლიეთ ეკითხები: „ვითარ შთამოვარდი ზეცით, მთიებო, ასულო განთიადისაო!“, როგორ დაიღუპე კაცობრიობავე?.

მტერი გამოსაცდელათ ვესთან მივიდა. ამ მტერს საღმრთო მწერალი გველს უწოდებდეს; მაგრამ ნამდვილათ-კი—იგი იყო ბოროტი სული, წყვილადის მოციქული, რომელსაც გველის სახე ჰქონდა მიღებული. იგი დედაკაცს ეჭვებით მოუახლოვდა; ეს საშუალება ყველა მის საშუალებაზე უფრო „შიშია“. ქალმა ინება პასუხის გაცემა; თუმცა ასეთ საშიშ მაცოთრის წინაშე ყველაფერს გაქცევა აჯობებდა. რაკი ეცოთრება საუბარო გააბა, ქალი უნებლიეთ მის გაცოთრას დამორჩილა. ცუდ საზოგადოებაში მოვალეობის შეგნება უნებლიეთ სუსტდება, რადგან შეუშინველათ გვეთვისება ბოროტის შხამი. —ეგამ ღვთისაგან ნაბრძანები აღკრძალვა ცოტა არიყოს გააზვიადა, როცა აღკრძალულ ხის შესახებ გველს უთხრა: „ღმერთმა გვიბრძანა: არც შეეხებო მასო“; ხოლო მეორე მხრით მან შესუსტა მუქარი, როცა სასჯელი საეჭვოთ წარმოადგინა: „უსათულო სიკვდილით მოკვდებითო“—ო, —ამის ნაცვლად—*«რათა არა მოკვდეთო»*—სთქვა. მაცოთრმა ისარგებლა ამ შესუსტებით, რომ მუქარის უკანასკნელი შიშიც გაექარწყლებია: „არა სიკვდილით მოკვდებითო“, —უთხრა მან დედაკაცს. მან თვით ხის სახელითაც კი ისარგებლა: „განგებენეს თქვენ თვალნი და იყვნეთ, ვითარცა ღმერთნი, მეცნიერ კეთილისა და ბოროტისა“. შიში გაქრა, ქალის ცნობის მოყვარეობა აღიძრა, —და ფრიალ საინტერესო და მიმზიდველი ვიყვნა მას დაშლილი ხილი; ველოდ მოითმინა. —და მიიღო ნაყოფისა მისგან და

*) იხ. „მეცნიერება“ № 5, 1904 წ.



სქამა: და მისცა ქმარსაცა მისსა მისთანა, ლ სქამეს“.

ასე დაეცენ ჩვენი პირველ-მშობელნი და ცოდვისა და ბოროტი სულის მონები გახდენ. სულმან ღვთისამან დასტოვა სულნი მათნი, რომელ-შიაც ცხოვრობდა ისე, როგორც ბრწყინვალე და წმინდა ტაძარში; სიკვდილის თესლმა შეაღწია კაცის სხეულში, რომელიც მანამდის უცვლადი იყო, — და ამ რიგათ შემოქმედისა და მის ქმნილებათა შორის განყოფა მოხდა.

პირველ აღაშინებსაც თვალი. აეხილათ, მაგრამ იმისთვის კი არა, რომ უმაღლესი სიწმინდე და საუკუნო დიდება დაენახათ, არამედ იმისთვის — რომ თავისივე განხრწნის მოწამე გამხდარიყვნენ: „მთ ხსრძნეს, რომ შიშველ იყვნეს“. — პირველი მათი მოძრაობა იყო — როგორმე თვისი სისხაველ დაეფარათ: „შეკრეს ფურცელი ღვდვისა და ქმნეს თავთა თვისთა გარემოსარტყმელნი“. ასეა ყოველ-თვის: დამნაშავეს პირველი მოძრაობა იმაში მდგომარეობს, რომ გარეშე პირთაგან რაიმე გზით დაეფაროს თავისი დანაშაულობა. ფიქრმა გაუფლვიათ? არა; იგინი მხოლოდ სცდილობდნენ ყველგანმყოფს სადმე დამალვადენ!.. მისი მოწოდებისათანავე იგინი სასმჯავროს წინ უნდა წამდგარიყვნენ. მაგრამ შეიძლება აქ მაინც გავეღვივოთ დამნაშავეობის შეგნება?.. კიდევ არა. ადამი ცდილობდა დანაშაული ცოდვისთვის და თითქმის ღმრთისთვისაც კი გადაებრალდებინა: „ღვდაკაცი, რომელი მომეც ჩემთანა, მან მომცა მე ხისა მისგან, და ვსჭამე“; ვეა კიდევ იმას ცდილობდა, რომ დანაშაული გველისთვის გადაებრალდებინა. ესე იგი იქ ის ამბავი დაიწყო, რომელსაც ყოველთვის და ყოველგან იმეორებს მათი ცოდვილი შთამომავლობა.

მართლ-მსაჯულის განაჩენმაც არ დაიგვიანა. გველი დაწყველილ იქმნა, როგორც ცდუნების იარაღი. ბოროტს მაცდურს ღმერთმა უთხრა, რომ თესლი ღვდაკაცისა შემუსრავს მას, ე. ი. ქალისაგან ისეთი ვინმე წარმოსდგება, რომელიც დაამარცხებს ამ საუკუნო მტერს ღვთისა და აღაშინისას. ეს პირველი აღთქმა იყო მაცხოვრის შესახებ.

ვევც სასტიკათ დაისაჯა. მას წილად ხვდა — მწუხარებანი მწუხარებასა ზედა და სულთქმანი შვილის შობის დროს; ხოლო ქმრის შეცდენისათვის კი — სრული მისი მორჩილება: „ქმრისა შენისა მიმართ იყოს მიქცევა შენი და იგი გუფუღებოდის შენ“.

რაც შეეხება ადამს, მისი გულისთვის მიწა იქმნა დაწყველილი: „წყვეულ იყავნ ქვეყანა საქმეთა შინა შენთა; მწუხარებით სქამდე მისგან ყოველთა დღეთა ცხოვრებისა შენისათა; ეკალსა და კუროს-თავსა აღმოვციენებდეს შენ, და სქამდე თივასა ველისასა; ოფლითა პირისა შენისათა სქამდე პურსა შენსა“. მაგრამ ყველაზე უფრო საშიშარი სასჯელი ცოდვისათვის — სიკვდილია: „მიწა ხარ და მიწადცა მიიქცე“; საშიშია იგი მთელი მისი ჩამომავლობისათვის, რომელსაც არ შეუძლია უძარწოლველათ ის წუთი წარმოდგინოს, როცა სიკვდილის წყვილიდში შედგამს ფეხს.

ასეთია მწარე ამბავი პირველი აღაშინების დაცემისა, რომელთაც თვისის დაცემით დასცეს თავისი ჩამომავლობაც, ე. ი. მთელი კაცობრიობა, მაშასადამე ჩვენ — ყველანიც, ძმანო! დიახ, მათი დაცემის წყალობით სიწამხდრე ჩვენს არსებაში გადმოვიდა და ცოდვა ჩვენი ბუნების განუყრელი თვისება შეიქნა. „რომელსა იგი ვიქმ, არა ვიცი; რამეთუ არა, რომელი იგი მე მნებავს, მას ვიქმ, არამედ რომელი იგი მძულს, მას ვჭკოვ; არა რომელი იგი მნებავს კეთილი, მას ვჭკოვ, არამედ რომელი იგი არა მნებავს ბოროტი, მას ვიქმ; ვპოვე მეა ჰსჯულს, რომელი უნდეს ჩემდა ყოფად კეთილსა, რამეთუ მე ბოროტი წმინა მისს. — ვგზოდევ სსჯას სსჯულს ასოთა შინა ჩემთა, რომელი იგი წინაგანეწყების სჯულსა მას გონებისა ჩემისასა და წარმტყვენავს მე სჯულთა მით ცოდვისათა, რომელი იგი არს ასოთა შინა ჩემთა“ (რომ., VIII, 15, 19, 21, 23). აი, სწორეთ ეს „სხვა სჯული“, ეს სსჯა კანონი არის ის საშიში სამკვიდრებელი, რომელსაც თითოეული ჩვენგანი პირველ-მშობელთაგან ღებუფლობს და თვის შთამომავლობას უტოვებს.

მაგრამ აი, ძმანო, რა არის საკითხავი: ნუ თუ თითოეული ჩვენგანი პირველ აღაშინებზე უკეთ მოიქცეოდა?..

ჩვენი ცხოვრება არ გვიმოწმებს, ვითომც რომელსამე ჩვენგანს უკეთ მოქცევა შეეძლოს. ვეა არ გაეკმა მაცდურის ბოროტ ზედგავლენას, — და დაეცა. ადამი კი მეტისმეტათ აღვილათ დავმორჩილა ცოდვის გავლენას, და ისიც დაეცა. მაგრამ ჩვენი, თითოეული ჩვენგანის დაცემა კი იგივე არ არის? და განა ამგვარ დაცემათაგან არ შედგება ჩვენი ცხოვრება?.. განა გავუბრვიართ ცუდი საზოგადოე-

ბის, მივწე ნაცნობობის და ზნეობით დაცემულადამიანების გაგონებას?.. ვებრძვიტ ჩვენს შინაგან ვნებებს, რომელიც მუდამ სულს გვიშფოთებენ და გვაღელვებენ? პირველი აღმიანები იმისგანაო დაეცენ, რომ ბოროტის საწინააღმდეგო მეთი ზნეობრივი ძალი აღარ შესწევდა. მაგრამ ჩვენში კი საქმეოა ეს ძალია?.. რომ საქაო იყოს, მაშინ ხომ საქმეშიაო გამოჩნდებოდა რითიმე, —ან ბრძოლით, ან ღვეწლით და ბრძოლის ცდით მიანც?.. მაგრამ ნამდვილაო-კი რა ხდება ჩვენ შორის?.. ისე ადვილაო, ისე უშიშრაო ვთვლაოთ ფხვით საღმრთო მცნებას, —თითქმის ჩვენზემოთ დმერთი არც კი არსებობდეს; ისეთის ხალისით ვეგებებით ყოველგვარ ცდუნებას, —თითქოს საფლავს იქით არავითარი განსჯა და სასყიდელი არ მოგველოდეს. ხოლო ჩვენი შეუწანებლობა უსჯულთ ცხოვრებაში? ხოლო ჩვენი მისწრაფება —საკუთარი დანაშაული სხვას გადავაბრალოთ?.. ქეშპარიტად რომ ღირსეული შთამომავალი ვართ ადამისა და ევასო, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჩვენ ერთი ასათ და ათითასად გვაქვს ვადიდებული მათიერ ჩადენილი ცოდვა. რა თქმა უნდა, ვერც ერთი ჩვენგანი იმათზე უკეთ ვართ მოქცეოდა. მაგრამ მოგვლიათ როდისმე, ძმანო, ფიქრაღ, რომ რამდენათაც ჩვენი დანაშაული იმათისაზე უდიდესია, იმდენათვე უფრო მეტი სასჯელი მოგველის?..

(გაგრძელება აქნება)
ს. გორგაძე.

ნ ხ ა გ რ ე ბ ა

წმიდათაშინაის მამისა ჩვენისა

ნიკოლოზ საპნირხვალთ მოქმედისა.

(გაგრძელება*)

დიდი სათნოყოფელი უფლისა დიდხანს სცხოვრებდა თავის სამწყსოში. სიოცობის უკანასკნელ წუთამდის მას არ დაუგდია მოწყალება მთხოველთათვის. მასში ერთად იყო შერთებული თაემდაბლობა და მხურვალე სიყვარული მოყვისადმი. ის იყო გაქირვებულთა, უბედურთა ზ მუხარეთა ნამდვილი შემწე და ნუგეშისნი მცემელი. ყველა მასთან მო-

საუბრე განმტკიცდებოდა კეთილ ცხოვრების გზაზე. ხოლო კერპთაყენისმცემლები, უკეთეს ისინი გაიგონებდნენ მის ლაბარაკს და ქადაგებას, ღებულობდნენ ქრისტიანობას, უერთდებოდნენ ქრისტეს ეკკლესიას.

წმიდა ნიკოლოზი ღრმად მოხუცდა და 6 დეკემბერს 312 წელს, მკირე ავათყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა. ლუკიის მხარის ყველა ეპისკოპოზები, მღვდლები, ბერ-მონაზვნები და აუარებელი ხალხი დაესწრნენ მის დასაფლავებას. სხეული წმიდა სათნოყოფელისა დაკრძალეს ქალაქ მირონის საკრებულო ტაძარში. მისი წმიდა ცხოვრება მრავალი სასწაული, რომელიც ხდებოდა მის საფლავზე და გამოცხადება მათდამი, ვინც სასოებით ვეცდებოდა მფარველობას, ჩქარა შეიტყო ხალხმა და ყველა ამით მიიზიდა მრავალი მლოცველები ტაძარში, სადაც წმიდა ნაშთი განისვენებდა;

1086 წ. ე. ი. 813 წლის შემდეგ, ოსმალები დაეცენ ლუკიის მხარეს, სრულიად აღაოხრეს იგი, აიღეს და დაქციეს ქალაქი მირონი, მცხოვრებლები ტყვედ წაიყვანეს და ტაძარი, სადაც განისვენებდნენ ნაწილები წმიდა ნიკოლოზისა, სრულიად გაცარცეს. ამ დროს სათნოყოფელი უფლისა ძილში გამოეცხადა ერთ მღვდელს, რომელიც სცხოვრებდა ქალაქ ბარში (სამხრეთ იტალიაში), და უთხრა: უთხარ სამღვდლოებას და ხალხს გადმოსვენონ ჩემი ნაწილები ქალაქ მირონიდგან აქ, ვინაიღგან არ არის რიგი, რომ მე განვისვენებდე დამგვრეულ და აოხრებულ ქალაქში“. მღვდელმა მეორე დილასვე უამბო ეს ამბავი სამღვდლოებას და ხალხს, რამაც ყველა დიდათ გაახარა. ბარის მცხოვრებთ, რომელნიც დიდ პატივს სცემდნენ წმიდა ნიკოლოზის სხეულებს, საჩქაროთ დააშადადეს სამი გემი, რომელშიაც ჩასდნენ სამღვდლონი და ქსეა კეთილ-მორწმუნე პირები და გაუღდნენ გზას ქალაქ მირონისაკენ წმიდა ნაწილთა გადმოსასვენებლათ. მირონში მისვლისთანავე ესენი პირდაპირ ტაძარში გაეშურნენ; ახადეს წმიდანის საფლავს თავი და ნახეს, რომ საესე იგი კეთილსურნელოვანი მირონით, რომელიც წმიდა ნაწილებიღგან გამოდიოდა. ჩასახეს მირონი სუფთა ქურქელში, აიღეს წმიდა ნაწილები და 9 მაისს 1087 წელს მშვიდობით მოასვენეს ქალაქ ბარში. ქალაქდამნ გამოეგებენ მათ მღვდელთაყოფები, სამღვდლოება, ქალაქისა და გარშემო სოფლების მცხოვრებნი, რომელნიც აღტაცებით უგალობდნენ

*) იხ. „მწეეშისა“ № 3, 1904 წ.

ღმერთსა და მის წმიდა სათნოყოფელს. წმიდა ნიკოლოზის ნაწილები დასვენეს იოანე წინამორბედის ტაძარში, სადაც მრავალი ბრმა, ყრუ და ვრდომილი და სეა მძიმე სნეულებით შეპყრობილნი სასწაულებრივ იკურნებოდნენ, უყვოუ კი ესენი რწმენით და სასოებით შეეხებოდნენ წმიდა ნაწილებს. მალე ბარის მცხოვრებმა გამოიწყეს უფრო დიდებული ტაძარი წმ ნიკოლოზის სახელზე. სამს წელიწადს აშენებდნენ მას; გაამშვენიერეს ის სხვადასხვა ძვირფასი საეკლესიო ნივთებით, გააკეთეს ვერცხლის ახალი კუბო; შეამკვეს ის ძვირფასი ქვებით; გადმოასვენეს წმიდა ნაწილები თუ ტაძარში და ჩაასვენეს ახალ ძვირფას კუბოში. პირველათ ეს კუბო დასდგეს საკურთხევლის გვერდით, ხოლო შემდეგში იგი მოათავსეს წმიდა ტრაპეზის ქვეშ. კუბო კი, რომელიც მოიტანეს ქალაქ მირონიდგან, მკორე ნაწილებით დასდგეს შუა ტაძარში მომსვლელთათვის თავყანისაცემათ.

წმიდა ნიკოლოზ საკვირველთ-მოქმედის სიკვდილის შემდეგაც არ დაუგდია ტანჯულნი და წვალებულნი: იგი უწინდებურათ დარჩანუგეზინის-მცემლათ უბედურებაში მყოფთათვის, დაუღვეველ წყაროთ მძიმე სნეულთა განკურნებაში და მუღმივე მფარველათ შევიწროებულთათვის. ადამიანთა სიყვარულისა და კეთილ ცხოვრებისათვის გარდაცვალების შემდეგ ღმერთმა კიდევ მეტი ძალა სასწაულ-მოქმედებისა მიანიჭა მას. ქვეყნაუთი მისი სიცოცხლე იყო მხოლოდ დასაწყისი იმ აურაცხელ სასწაულებებისა, სიკეთისა და შემწეობისა, რომელთაც ის დღემდინ ანიჭებს მრავალთა პირთა. განსაკუთრებით მისი ზოგიერთი სასწაული საგულისხმეობათ; ეს სასწაულები ცხადათ გვიჩვენებენ ჩვენ, თუ როგორ ღრმათ უკვირდება დიდებული წმიდანნი ხალხის საჭიროებას და მწუხარებას.

ერთი უბრალო ხელოსანი, მცხოვრები კონსტანტინეპოლისა, ღრმა პატივისა სცემდა ხსენებას წმიდისა ნიკოლოზისას და ყოველ წლობით დღესასწაულობდა მის დღეობას. ხელოსანმა, ღრმათ რომ მოხუცდა, მუშაობა ვეღარ შეიძლო და საშინელ სიღატაკეში ჩავარდა. წმიდა ნიკოლოზის დღესასწაული მოახლოვდა: ხელოსანმა მოიხმო თავისი ცოლი და უთხრა: „აი ახლოვდება უქმი შუამდგომლის და საკვირველთ-მოქმედის ნიკოლოზისა, ჩვენ კი არაფერი გვაბაღია, რომ ამ დიდებულ დღეს ღირ-

სეულათ შევგვებოთ.“ ცოლმა მიუგო, ჩვენ ორივე მოხუცი ვართ; შეილებიც არა გვეყავს, ვის უნდა შევეუნახოთ თუ რამ გვაბაღია! აი, დაგვრჩენია კიდევ ერთი ხალიჩა, გაჰყიდე ის და, რაც დღესასწაულზე საჭიროა, აღებული იფლეთ იყიდე. ქმარმა დაიჯერა ეს რჩევა; აიღო ხალიჩა და წაიღო გასაყიდავათ. გზაზე იმას შეხვდა ერთი დიდებული მოხუცი—ეს იყო წმიდა ნიკოლოზი—იყიდა მისგან ეს ხალიჩა; მისცა მას ექვსი მოზრდილი ოქროს ფული და გაცილდა. წმიდა ნიკოლოზი გამოეცხადა ხელოსნის ცოლს და უთხრა: „შენი ქმარი-ჩემი დიდხნის მგობარია; მე შევხვიე მას გზაზე და მოხუცი ეს ხალიჩა შენთვის მომეტანა.“ დაბრუნდა მოხუცი ხელოსანი და ცოლმა ნაღვლიანათ უთხრა მას: „ამ მოტყუებას, უკეთესი იყო არ შემპირებოდი; რისთვის მოატყუე წმიდა ნიკოლოზი და შენი სიცრუით რისთვის შებღალე ამდენხნის შენი სათნო ცხოვრება?“ ქმარი, რომელმაც სრულიად არაფერი იცოდა რაც მოხდა, ისე გააკვირვა ცოლის ამგვარმა სიტყვებმა, რომ კრინტს ვეღარ სძრავდა. ბოლოს, როცა ვაიგო ხალიჩა ვისცა მოეტანა, წარმისთქვა: „კეთილ არს უფალი, რომელი მოუფლო ნებს წყალობასა მონათა თვისთა; მან იხილა სიღატაკე ჩემი და მომივიღა სათნოყოფელი თვისი, რათა შემწე მეყოს მე იგი სიღატაკესა შინა ჩემსა“. ორივეი, ცოლმა და ქმარმა დაიჩოქეს და თვალცრემლიანი აღიდებდნენ უფოლსა და წმიდასა საკვირველთ-მოქმედს ნიკოლოზს.

სირიაში, რომელსაც ხშირათ თავს ესხმოდა მეზობელი სარაცინელთა ერი, სცოვრებდა ერთი მდიდარი და ღვთის მორწმუნე კაცი. სახელათ აგრიკი, რომელიც ყოველ წლობით წმიდა ნიკოლოზის დღესასწაულზე დაიარებოდა ქალაქის ახლოს ამ წმიდანის სახელობაზე აგებულ ეკლესიაში.

ერთხელ ამ დღესასწაულის წინა დღეს, აგრიკმა უთხრა თავის შვილს ბასილს: „შვილო, შენ წახვალ ეკლესიაში სალოცავათ, ჩვენ კი წმინდა დავრჩებით და რაც საჭიროა, მოვაშაბადებთ მათხოვრებს გაუმასპინძლდნითო. ბასილი წავიდა ეკლესიაში, მაგრამ მას საშინელი უბედურება დაემართა: წირვის დროს სარაცინებმა ტაძარს ალყა შემოარტყეს. ვინც კი ტაძარში იყო—და იმათ შორის ბასილიც—შეიპყრეს და ტყვეთ წაიყვანეს კუნძულ კრიტზე. აქ ბასილი დანიშნეს მეფის მოსამსახურეთ—მერიკიფედ.

ამ უბედურმა შემთხვევამ გული დაუკოლა და დიდად შეაწუხა საბრალო ბასილის მშობლები, ასე რომ მთელი ორი წელიწადი მათ აღარ უღღესასწაულებათ წმიდა ნიკოლოზის ხსენება. მესამე წელიწადს აგრეთვე უთხრა თავის ცოლს: აი სამი წელიწადია, რაც ვეგლოვთ და ვტირით ჩვენს შვილს, წმიდა ნიკოლოზი კი სრულიად დაევიწყეთ და მის დღეობას ეკლესიაშიაც კი აღარ გავგივლია. ხელ ამ წმიდანის დღეობაა, წვივდეთ ეკლესიაში, ვილოცოთ, შევევედროთ მას, ვინ იცის, იქნება კი თავისი ნუგეში მოგვივლინოს. მართლაც მეორე დღეს აგრეთვე თავის ცოლით წავიდა ეკლესიაში, საიდგანაც შინ მრავალი მათხოვარი მიიყვანა, რომელთაც ის კარგათ ვაუმასპინძლდა. ამ მასპინძლობის დროს ის გამოვიდა სახლიდან და დაინახა იქვე მდგომი ჭაბუკი სარაკინულ ტანისამოსში, ხელში კი ბოთლი ეჭირა. აგრეთვე მივიდა მასთან და კარგათ რომ დააკვირდა, მიხვდა, რომ ეს მისი შვილი ბასილია. მამამ მეტის სიხარულით სიტყვა ვერარ ამოიღო. ბასილი მოუყვა მშობლებს, რომ იმ დროს, როცა ის მეფეს ღვინოს უსხავდა, მივიდა მასთან ვიღაც მოხუცი, მოჰკიდა მას ხელი და ქარივით გადმოიტანა იგი აქ და თვითონ კი მერე დაჰქარა. ყველა იქ მყოფმა მხურვალე მადლობა შესწირეს წმიდა ნიკოლოზს ამნაირი საკვირველი სასწაულისათვის.

ქალაქ კონსტანტინეპოლში სცხოვრებდა ერთი ღვთის მოშიში კაცი სახელათ თეოფანე. ერთხელ მან სიხმარში ნახა წმიდა ნიკოლოზი, რომელმაც უთხრა დაესატა სამი ხატი: მაცხოვრის, ღვთისმშობლის და საკვირველთ-მოქმედის ნიკოლოზისა ჭა დახატვის შემდეგ, ეჩვენებია პატრიარხისათვის. თეოფანემ აღასრულა ნება წმიდა ნიკოლოზისა და შეუკვეთა: ეს სამი ხატი მხატვარს. როცა ხატები დაამზადეს, თეოფანემ მოიწვია პატრიარხი თავის სახლში. პატრიარხი შევიდა ოთახში, სადაც ეწყო დამზადებული ხატები, მიუბრუნდა ჯერეთ მაცხოვრის ხატს და სთქვა: „დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო, მაცხოვარო სოფლისაო და შემოქმედო ყოვლისა ხილულისა და უხილბვისა“; მერე მიუბრუნდა ღვთისმშობლის ხატს და წარმოსთქვა: „დიდება შენდა, ყოვლად წმიდაო დედაო ღვთისაო, რომელმან გვიშვე ჩვენ ღმერთი კაცთმოყვარე“ ხოლო, როცა დაინახა ხატი წმიდა ნიკოლოზისა სთქვა:

რისთვის არის აქ ეს სახე მირონ-ლუკიის ეპისკოპოსის ნიკოლოზისა? როგორ შეიძლება წმიდა ხატებთან ერთად იმოყვებოდეს მისი სახე, და, თუმცა მასპინძელთ ძალიან სწყინდა მიანც ბრძანა გაეტანათ იგი ამ ოთახიდან. როცა მისი ბრძანება აღასრულეს, პატრიარხმა გადაიხადა პარაკლისი მაცხოვრისა და ღვთისმშობლისა. მეორე დღეს ის მიიწვიეს ერთ კუნძულზე, რომ სახარება წაეკითხა ერთ დიდკაცის ავთიმეოვ ასულისათვის. უკან რომ დაბრუნდა, გზაში საშინელმა ღელვამ მოასწრო; ზღვა ისეთ საშინელ ზვირთებს აგორებდა, რომ ერთმა მთვანმა გემს თავზე გადალერა და პატრიარხი ზღვაში ისროლა. ის იღრწობოდა, და აი სწორეთ ამ დროს მოაგონდა თავისი ცოდვა წმიდა ნიკოლოზისადმი. „დიდო მღვდელ-მთავარო, წარმნსთქვა მან ხმის კანკალით, მე ვცოდვ შენს წინაშე, მოწყალე მეყვე მე, შემინდევ მე ცოდვა ჩემი და მისხენ დაღუპვისაგან.“ ამ დროს გამოეცხადა მას წმიდა ნიკოლოზი, მოჰკიდა ხელი და უთხრა: რისთვის მისმობ მე, როდესაც შენ ჩემი სახის დანახვაც კი არ გინდოდა?“ „შეგცოდვი, წამოიძახა პატრიარხმა, შემინდევ მე დიდო მსახურო ქრისტეს მაცხოვრისაო, მსწრაფლ შემწეო ყოველთა გაქირებულთაო.“ წმიდა ნიკოლოზმა აიყვანა იგი, და ჩასვა გემში და უთხრა: „ნუ გეშინის, საყვარელო ძმაო, უფალი ჩემ მიერ გიხსნის შენ დაღუპვისაგან. მაშინ პატრიარხმა ყველას წინაშე, ვინც კი გემზე იყო, აღიარა თავისი ცოდვა წმიდანის მიმართ; ხოო კონსტანტინეპოლში რომ დაბრუნდა, მან გამოართვა თეოფანეს წმიდა ნიკოლოზის ხატი, რომელსაც ამას წინეთ ასე უღღერათ მოეპყრა, დიდის ამბით გადაიხადა პარაკლისი მის წინაშე და დაასვენა იგი სოფლის ტაძარში. შემდეგ კი, ნიშნად მადლობისა თავისი სასწაულებრივ გამოხსნისათვის მან აღაშენა წმიდა ნიკოლოზის ხსეულზე მონასტერი და ტაძარი, სადაც გადაიტანა მისი ხატიც.

(შემდეგ იქნება)

მღ. ბ. კახანაძე.



მართლმადიდებლობით—ქრისტიანობრივის სა-
კვლევსიო საზოგადოებისთვის დასაწერებ-
ლის განმარტება.

კატეხეზა *)

«უფალო დაღვცა»-ის შემდეგ გალობენ სტი-
ქარონებს. სტიქარონებში, ანუ საგალობლებში,
გამოხატულია სხვა-და-სხვა შემთხვევები მაცხოვრის,
ღვთისმშობლის და წმიდანების ცხოვრებიდან, და
იქებ-იღიდება იმათი სახელი. სტიქარონების გალობა
ბოლოვდება საგალობლით, რომელი იწოდება ღვთის-
მშობლისად, ანუ დოგმატიკოსად; ღვთისმშობლისად
იწოდება იგი, რადგან მასში იწოდების დედოფალი
მარიამ, ხოლო დოგმატიკად იმეტომ, რომ იგი
თვისშორის შეიცავს დოგმატებს, ე. ი. სწავლას
მაცხოვრის, ძისა ღვთისასა, ხორცუხსნამზე, განხორ-
ციელებამზე. როცა დოგმატიკონის გალობას დაიწ-
ყებენ, მაშინ გაიღება აღსავლის კარები, მღვდელი
და მთავარღიაკონი საკურთხევილიდან ჩრთილოვითის
კარებიდან გამოვლენ და სამეფუო კარების წინაშე
წარსდებიან. ღიაკონი კმევის შემდეგ აღსავლის
კარებშუა დასდგება და წარმოსთქვამს: საბაშნოთ,
აღმუ:რთუხსით!..

სტიქარონებისა და დოგმატიკონის გალობის
ღ საკურთხევილიდან მღვდლის გამოსვლა მოასწავებს
ლოდინს ძველ აღთქაში კაცობრიობის მიერ მაც-
ხოვრის მოსვლისასა. ღმერთმა აღამიანთა მოვლინე-
ბა მხსნელისა სამოთხეშივე შეცოდებისთანავე აღუ-
თქვე, და ეს დაპირება კაცთაწათესავსა მამათმთავართა
და წინასწარმეტყველთა მიერ არა ერთგზის განუ-
მეროა.

მოლოცველთა უნდა წარმოიდგინონ კაცობრი-
ობის უნუვეშო, სამწუხარო მდგომარეობა იესო
ქრისტეს მოსვლამდე, უნდა მოიგონონ, თუ როგორ
მოკლებული იყო იგი ქეშმარიტება-სიმაართლესა,
სწორ სოფელი მხედველობასა, თუ როგორ ნატრუ-
ლობდა, მოუთმენლად მიელოდა იგი ნათლის მომ-
ფენსა, ქეშმარიტების მაუწყებელსა, მხსნელსა მოე-
ლოდნენ არა მარტო ებრაელები, რომელთაც უფალ-
თან კავშირი ქონდათ, არამედ წარმართნიცა. ერთი
უგინათლებულისი ბგრძენთავანი ამბობდა: კაცობ-
რიობის ცხოვრებაში თუ ღმერთი არ ჩაერთა და მას

მხსნელი არ მოუვლინა, იგი აუცილებლად დაიღუ-
პებაო.

როგორც უკვე ვსთქვით, მთავარღიაკონი იტ-
ყვის: სიბრძნით, აღმართენით! სიტყვით: სიბრძნით
ღიაკონი მოლოცველებს წინად აუწყებს, ანიშნებს,
რომ იმ საგალობელში, რომელიც უნდა იგალობონ
ამის შემდეგ, გამოხატულია სიბრძნე: ღრმა, გონი-
ვრული აზრი; ხოლო სიტყვით: აღმართენით იგი
ასწავებს ხალხს აღმართოს, სწორად, პირდაპირ
დასდგეს ღ საგალობელი განსაკუთრებულის ყურად-
ღებით მოისმინოს, სახელდობრ:

ნათელა მსიარულა, წმიდას დადებულისს, უკვდა-
ვისა, მამის ზეტათასა, წმიდას მანსოფანი ჩეხეი იესო
ქრისტე: მისრულთა დასვლას მხისას, ვიხილათ ნა-
თელა სამწუხრო, ვაქებთ მამას, და ძეს, და წმიდას სულს
ღმერთს, დარსმღს ვართ ეოველს ვამს მკალობდად
შენდა, სმითა ტკებითა, ძეო ღვთისთა ცხეფებუბა მო-
მეტყულო, რამდისათვისცა ეოველი სოფელი შენ კადა-
ღვის.

ეს საგალობელი შედგენილია მეშვიდე საუკუ-
ნეში იერუსალიმის პატრიარქის სოფრონის მიერ.
იმასში უფალი იესო ქრისტე იწოდება მხიარულ,
ე. ი. წყნარ, მკრთალ ნათელად. როცა მზე შუა-
ღლისას პირდაპირ დაგვტკეპრის, ჩვენ მას თვალს ვერ
უსწორებთ, მისს ელვარებას, სიღიადეს და სიმშვე-
ნიერეს ვერ ვსტყურებთ; ხოლო საღამოს ჟამსა, რო-
ცა იგი თვისს სხივებს ჩვენკენ აღმაცრივ გზანის,
როცა ის სიბნელით ცრათი იმოსება, მაშინ შე-
გვიძლია მას პირდაპირ ვუყუროთ და იმის საამარ-
შებელლოდანი ვისამოვნოთ—ვიხიარულოთ. ამ
გვარადვე ღმერთი, ნათელი მიუწოდებელი, როგორც
შუადღის მზე, გახდა მშვიდ, წყნარ ნათელად, რო-
გორც მზე საღამოს ჟამისა. ღმერთი თვალთმიუწ-
ლომი ნათელია; იმისი ხილვა არავის ძალოუს; ადა-
მიანი, განსაზღვრული არსება, მას, განუსაზღვრელს,
ვერგარემოიკავს, იმასთან იგი პირდაპირ დამოუკი-
დებლად კავშირს ვერ იკონიებს. ხოლო აღამიანის-
თვის-კი ღმერთთან დამოუკიდებლობა—შერთება
მიუცილებლად საჭიროა, უამისოდ იმისი ზედნიე-
რება შეუძლებელია, გარემე ღვთისა ზედნიერება
არა სუფევს. აქ აღამიანს თვით უფალი დაემხარა.
მან ინება ხორცის შესხმა, განკაცება და ამით კა-
ცობრივის ბუნების ქვეშე თვისი ღვთაებრივი ელვა-
რება, ძალა-ღიდება დაფარა, და მით კაცს მიეცა

*) ის. „მწევესი“ № 14, 1903 წ.

საშვალემა ღვთის ნათლიერების ხილვისა, მისთან დაახლოვებისა, მის სიღაღით, სიმშვენირით დატკობისა. ამნაირად ზემოხსენებულ საგალობელში უფალი იესო ქრისტე სისწორით იწოდება მხიარულ, წყნარ საამო ნათელად.

მწუხრი სრულდება ღამის ჟამსა და აი მზის დასვლა, საღამოს წყნარი, სუსტი სინათლე მოგვადგინებს მაცხოვრისა, მხიარულს, მშვიდობა ნათელსა და მას ვუტყვობთ. ამ ნათელის მოსვლას ძველს აღთქმაში ელოდნენ, ჩვენ-კი იგი ბირისბირ ვიხილეთ და მის მიერ სასუფეველი ღვთისა, ნეტარება დავიმკვიდრეთ. ამის გამო გვძარბებს ვადიდოთ იგი დაუცხრომლად, სამუდამოდ, საუკუნოდ. რა ის არა, ჩვენ ეხლაც ღვთისგან განშორებული ვიქნებოდით, არ გვეცოდინებოდა ნამდვილი მიზანი ჩვენის არსებობისა, გვექნებოდა შემცდარი შეხედულობა ქვეყნიერობის შესახებ, ვიქნებოდით შოთვესა და დრტვიანაში, განხეთქილებაში; ჩვენი მდგომარეობა იქნებოდა საშინელი, აუტანელი, ჯოჯოხეთური. მოგვეცინა ნათელი მხიარული და ცხოვრება დაგვიამდა, ქვეშაირტება ვსცანიოთ, შევიგნეთ ჩვენი ნამდვილი დანიშნულება, ვავიგნეთ, თუ რა შინაარსის უნდა იყოს ჩვენი ცხოვრება, თუ როგორ შეიძლება ბედნიერების შექმნა.

ქრისტიანო! ყოველივე ესე ნათლად წარმოიდგინე და ელომზურვალედა სთქვი: ვადიდებთ იესო ქრისტეც, ნათელ მხიარულს, წყნარო და მშვიდო! შენმიერ ვსცანიოთ ღვთაება, ვიხილეთ მისი ძალა— ელვარება, სისხეტაკე. მშვენირება; შენმიერ ვეზიარეთ ღვთაებრივ ცხოვრებასა, დაუკავშირდით უფალსა. გაქებთ, მაცხოვარ, ნათელის მომფენო, ქვეშაირტების მაუწყებელო, უმეტრებისაგან გამოიყვანო, დატყულოთა აღმადგენო!

გიგალობთ, იესოვ ტკბილო, ტანჯვა-ვაებათაგან გამომხსნელო, სულიერთა წყლულთა მკურნელო; მწარე ცხოვრების შემსუბუქებელო და დამამებელო! დიდების მეტყველებათ, ძეო ღვთისაო! შენ ხარ ერთადერთი „გზა, ქვეშაირტება და ცხოვრება“, აღამიანი სასუფეველში შენ მიერ შევალს, დიდსა ღმერთსა უერთდება და პოულობს სიტკობება-მშვიდობასა, სამუდამო ნეტარებას.

მწყემსო კეთილო! შენ იქნები კაცობრიობისთვის სამარადისოდ შეურყვეველი სიმტკიცე, ძალა— უძლეველი, გზის მანათობელი, ქვეშაირტების მაუ-

წყებელი, ნუგუმინის მცემელი, და მადლობელი კაცობრიობა გიღაღადებს ყოველთა ჟამთა, საუკუნოდ.

„ნათელი მხიარულის“ შემდეგ გალობენ წარდგომას, ანუ საგალობელს, რომელიც სახარების, სამოციქულოს და საზოგადოდ საღმრთო წერილის საკითხავთა წარუდგების, წინაუძღვის; კიდევ იგი იწოდება ასე იმიტომ, რომ ის წინაუძღვის ლექსთა, ანუ სიტყვათა, საღმრთო წერილიდან, მომეტებულ ნაწილად ფსალმუნთაგან ამოღებულთა; ჯერ საგალობელი ითქმების მერე ლექსი. მაგალითად მოვიყვანოთ ის წარდგომა, რომელიც საკვირაო მწუხრზე, ე. ი. შაბათს საღამოს გვესმის. ჯერ იგალობებენ: უფალი სუფევს, შვენირება შეიმოსა; ამის შემდეგ მთავარდიაკონი წარმოსთქვამს: შეიმოსა უფალმან ძალი და ვარეშირტყა; კიდევ მაგალობენ: უფალი სუფევს; —მერე მთავარდიაკონი; და რამეთუ დაამყარა სოფელი, რათა არა შეიმძრას; მაგალობენ: უფალი სუფევს... მთავარდიაკონი: სახლსა შენსა შენის სიწმიდე, უფალო, სიგრძესა შინა დღეთსა (92 ფს. 16).

ამ წარდგომის ლექსებში ღმერთი იხატება, როგორც მუფუფე ქვეყნისა, კერძოდ, ეკლესიისა.

უფალო სუფევს, შეგაერება შეიმოსა. —ღმერთი არის და მთელს ქვეყნიერობას მფლობელობს, განავებს; მისთან იგი ვარემემოიცავს სიმშვენირებსა, ე. ი. ყოველი იმის ქმნილება—მშვენირი, საამო და საუცხოვო და აღამიანის გულში სანეტარო გრძნობებს აღძრავს. მზე მანათობელი და მაკოსხლებელი, ცა, ურიცხვ ვარსკვლავებით მოქედელი, ბადრი მთავარე თვის მკრთალ, ვერცხლის ფერ სინათლით, მთანი, ტყით შემოსილი, მინდორველნი, მწვანე ბალახით და ყვავილებით დაფენილი, ჩანჩქერნი და მდინარენი თვის მობობნი ნაპირებით და სხვანი მრავლნი საგანნი და მოვლენანი ბუნებისანი წარმოადგენენ. მშვენირ სურათთა, ხიბლვენ აღამიანსა და ტკბილად აქვებებენ იმის გულის სიმებსა.

(ტაგრძლებს იქნება).

კაჭახაძე.

მეწიროელები.

რედაქციამ მილო დასაბუქლათ მღვდლის მ. ეგნატე ბეროულიასაგან შემდეგი წერილი:

მ. რ. 1. უმორჩილესად კთხოვთ ნება მიმეტო თქვენა ცაზეთის „მწეემსი“-ს საშუალებით გულისათი მადლობა გამოუცხადო, როგორც ჩემის, ეგრეთვე რწმუნებულის შემდამო ზირეული თამაკანის მაცნებრის შტატის და ენოთის ზედმაწერადის სმეების სამრეფლოთა მხრათ, იმ ზირთ, რომელთა შემოსწირეს შედეგეი ნივთები და ფული. სსუელდობრ: ენოთის ზედმაწერილ ეკკლეიას: უგნათლებულებსა ზრინტეს სვლომე მიურატისმ ბარძიმ-ფეშეში დირებულე ასი მანეთის; თაჲ. ფოტინას დგე-ბუჰისი ასულმა ზარა დირებულე ექსია თუმნისა და ერთი თუმანი ფულად. აღთი სხუელდებანს—ჯაფარბის ასულმა სსარება მოჭედლი—30 მანეთის; კოსტა ქვენსჯამ ერთი სელი ყოველაჲე სმდედლო შესამოსელი, ტრ-ზეზის შესამოსელი და ერთი გარდამოსნს—15 თუმნის; მღვ. ვიორგი ჩაეინჯამ—ერთი სელი შესამოსელი სად-აგნო, ხუთი სხუადანსჯა წმინდებისა სარტეი ორმოცი მან. ერთი წუელი ბიარადეა და ერთი კანდელი გუესმა ასონ ბუჭეს ქემ წუელამი—ოდნათი მანეთის; მოვსტრე იანსხე-რეკამი ერთი წუელი მანდელი—12 მ., ზურაბ გვარტის ქემ სსუელესამ 5 მანეთი ფულ.

შტატის ეკკლეიას:

მღვ. იანსხე ბურდჯამ ერთისელი ყოველაჲე სმ-დედლო შესამოსელი და დავანრები დირებულე ორმოცი მანეთის, კოსტა შენკელამ ერთი ბიარადა—12 მან.: სსარებათა უდის მოსსჯად. ბუჩუ ქორაბამ, კოსტა შენ-გელამ, კოსტა ქვენსჯამ, ბურდელუ ჭანტურამ თითო მანეთი.

რადამტვის პასუხი.

მღვ. ი. კახიას. კმარა იმ კითხვის შესახებ წერა. თქვენი წერილი ზედმეტია. რუსეთთან შეერთების შემდეგ არც ერთჯერ მღვდელთ მთავართა კრება არყოფილა. თქვენგან აღძრული კითხვები უნდა გადაწყდეს მთე-ლი სამღვდლოების წარმომადგენელთ კრებაზე. ამისთანა კრებას ჩვენ კი ვერ მოვუწვრებით... რედაქცია თვის ხარჯით არ კისრულობს დაუბეჭდელი სტატიების უკან დაბრუნებას.

ბანსხალეა.

მიღება ხელის-მოწერა 1904 წლისათვის ორ-კვირულ ვაგომცემათ ქართულს

„მწეემს“-ზე

დ

რუსულ «П А С Т Ы Р Ъ»-ზე

ქურნალის ფასი:

12 თვით «მწეემსი» | 6 თვით «მწეემსი» 2მ.
სამკურნალო ფურცლის |
დამატებთ — 4 მ. — ,, რუსული ,, 2) — ,, რუსული ,, 3მ. — ,, ორივე გამოცემა 3) — ,, ორივე გამოცემა 3) მაშეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბა ვეორალაში რედაქციაში, ქუთაისში ბნ ესტატე დამბაშიძესთან, თბილისში წერა-კითხვის გამავრცე-ლებელ სავაგდლოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუჩუკა შვილთან. **სასესენჯამი**—ბლოკონი მამა არ. კალანდარი შვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ლარბით გაზნებთ დავთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მ ა ნ ე თ ა დ რედაქცია იმყოფება დ. ვეორალაში რედაქტორის საკუთარ სახლგეში.

ბარე შეკვზ რეგებთ ქურნალის დაბარება შეუძლიათ ამ აღრესთ: Вь Квирилы, вь редакцію газеты и журнала „МЦЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

რედაქციაში მოიბოგება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწეემსი“-სა, რომელნიც ორ მანეთად დავთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიბოგება აგრეთვე სხვა-და-სხვა სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კათალოგი დრო-გამოშვებით ქურნალშიდაც იბეჭდება და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციელთ.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. ლ. ლამაშიძე Редакторь-Издатель П. Д. Гамбашидзе. Дозволено цензурою Архимандритъ Георгій Апрѣля 16 1904 г.

Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) вь Квирилахъ вь собст. домѣ.